ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი – კვირა, 16 – 17 ივლისი, 2016 №167 (7093) ფასი: 50 თეთრი

## „ქართული ოცნების“ ახალი სახეები დასავლურ კურსს ნიშნავს“

რამაზ საყვარელიძე: „რესპუბლიკელებს ბარიერის პრობლემა ექნებათ“

გვ.2



# ტერორისტი 9 საათი თავს ნაყინის გამყიდველად ასაღებდა



გვ.6



საფრანგეთის რესპუბლიკა, ისევე, როგორც ბელგიის სამეფო, მეტად ლოიალურია ისლამის მიმდევრებისადმი. მიუხედავად ამისა, სწორედ ეს ორი ქვეყანა იქნა არჩეული ჯიჰადისტების შეტევის ობიექტებად.

## ნიცის ტერაქტის ანატომია



## თამაზ მეჭიაური: „ივანიშვილმა მართვის სადავეები დაკარგა“

„მიმდინარეობს ხელისუფლების ხავერდოვანი გადაბარების პროცესი“

გვ.3



## ნაცმოძრაობის აკრძალვის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება იწყება

ზვიად ჩიტიშვილი: „ახლა გამოჩნდება, ხელისუფლება ხალხის მხარესაა თუ ჯალათების“

გვ.5

## გია ცაგარეიშვილი: „ნაციონალებთან კოალიცია წარმოუდგენელია“



გვ.4



გვ.4

## ანზორ აბრალავა: „ნიკა გვარამია სახიფათო განცხადებებს აკეთებს“



„რომან გოცირიძე ძველი, ჩამოწერილი სახეა“

## პროკურატურამ სალომე ჩარკვიანთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა

გვ.2

## საქართველო სოფელმა უნდა გადაარჩინოს!..

გვ.7



ISSN 1987-9385

ნონა ცაბაძე

# „ქართული ოცნების“ ახალი სახეები დასავლურ კურსს ნიშნავს“

## რამაზ საყვარელიძე: „რესპუბლიკელებს ბარიერის პრობლემა ექნებათ“

**ქვეყანაში მიმდინარე ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე აფასებს.**

***— ბატონო რამაზ, „ქართული ოცნების“ ახალ სახეებს საზოგადოებაში დიდი განხილვები მოჰყვა. ბევრმა დაიწუნა, ზოგმა მოიწონა. ექსპერტების ნაწილი ფიქრობს, რომ ახალი სახეებიც კოღუაშვილის ბედს გაიზიარებენ. რას ფიქრობთ თქვენ?***

— მე არ ვარ ასე პესიმისტურად განწყობილი. თან რაღაც ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ძალიან ბევრი შემფასებელი ცდილობს უარყოფით შეფასებას, რაც ყოველთვის ახლავს ხოლმე იმ ხელისუფლების ნებისმიერ ნაბიჯს, რომლის მიმართ კრიტიკულობა მოდაშია. რაც შეეხება ახალგაზრდების ამ ჯგუფს...

***— არ არიან ცნობადები, დებატებში გამოცდილები...***

— დებატებში გამოცდილი დაბადებიდან არავინ არის, მაგრამ ამ ახალგაზრდებს გამოუცდელობას ვერ დააბრალებ. იგივე ჩუგოშვილი არაერთ დებატში ყოფილა. ასევე მათგან ბევრი აღმასრულებელ სტრუქტურაში მუშაობს და უწევდათ დებატები და იციან, რა არის საჭირო პოლიტიკაში. მე მგონი, გადაჭარბებულია ის სკეპტიციზმი, რომელიც საზოგადოების ერთმა ნაწილმა გამოავლინა. სრულიად გასაგებია, როცა სკეპტიკურად არის განწყობილი ოპოზიცია, რადგან ის უნდა იყოს სკეპტიკურად განწყობილი.

***— აბა, რა არის გაუგებარი?***

— სრულიად გაუგებარია იმ ადამიანების შეფასებები, რომლებიც პოლიტიკურად დაინტერესებულნი არ არიან. რადგან მათ კარგად იციან, რომ ხშირად მომხდარა, როცა პოლიტიკისთვის უცნობი ადამიანი შემოსულა პოლიტიკაში და ბევრი ცვლილება მოუხდენია.



***— რისი თქმა უნდოდა „ქართულ ოცნებას“ ამ ახალი სახეების წარმოჩენით, რომ მთლიანად იცვლება მისი პოლიტიკა? ან რა ბედი ელის ძველ სახეებს? ისინი რა რაოდენობით მოხვდებიან „ოცნების“ სიაში?***

— ვნახოთ, სია როგორ აეგება. მთლიანობაში ერთი რამ ცხადია, რომ განახლება საჭიროა. ასეთი ქვეტექსტი იყო ამ ნაბიჯში. მეორე, რომ ამ განახლების მენეჯერი და ინიციატორი იყო კვირიკაშვილი და ამ გუნდის, თუ შეიძლება ითქვას, კაპიტანი არის კვირიკაშვილი.

***— ამით რისი თქმა გსურთ?***

— თვითონ კვირიკაშვილის მიმართ საზოგადოების ნდობა მაღალია. თვითონ ის ექსპერტები, რომლებიც კრიტიკულები არიან ამ ახალი გუნდის მიმართ, პოზიტიურად აფასებენ კვირიკაშვილს და ეს სწორედ კვირიკაშვილის გუნდია, ჰაერიდან ხომ არ მოსულან?!

***— გარედან მოჰყავს ახალი სახეები და პარტიის შიგნიდან არ არჩევსო.***

— ბუნებრივია, თუ ახალი სახე გინდა, საიდან უნდა მოიყვანო? რა თქმა უნდა, გარედან! თუ შიგნიდან აარჩევდა, მერე კრიტიკა იქნებოდა, ახალი სახე არ არისო. თუ კრიტიკა გინდა, კრიტიკაზე ადვილი არაფერია.

***— ჩუგოშვილის და მისნაირების სიაში ჩასმით გასაგებია, რა კურსს ირჩევს პრემიერიო და რა კურსი აირჩია კვირიკაშვილმა?***

— ერთადერთი, რაც ცხადია, არის ის, რომ კურსი არის დასავლური, რადგან დასავლეთში განათლებამიღებულობა, გარდა იმისა, რომ განათლებაა განსხვავებული დასავლეთის, ასევე დასავლურ სულისკვეთებას განსაზღვრავს. ჩემთვის ამის მაუწყებელია კობახიძის განცხადება, რომ კრიტერიუმი კადრების შერჩევის დროს იქნება ორიენტაცია.

***— ეს ორიენტაცია სახეზეა?***

— გარკვეულწილად კოალიციის დაშლაში გამოიხატა ეს ორიენტაცია. ასე რომ, თუ რაიმე იკითხება კურსის მხრივ, იკითხება დასავლური კურსი. ვისაც არ აწყობს დასავლური კურსი, ეს უკვე მისი გადასაწყვეტია.

***— სახელდება მათი გვარებიც, ვინც „ოცნების“ სიაში ვერ მოხვდება. ისინი განაწყენებას ვერ მალავენ.***

— სიმართლე გითხრათ, ამით არც დავინტერესებულვარ. ბუნებრივია, ახალი ადამიანები შემოდიან და ძველებიდან ვიღაცა თმობს ადგილს. ვისაც მანდატის აწევ-დაწევის გარდა სხვა ცოდნა არ აქვს, ეს მისთვის დიდი დანაკარგია, მაგრამ თუ ადამიანს პროფესია გაქვს, იმაზე სასიამოვნო რა არის, რომ პროფესიას დაუბრუნდები?!

***— მინისტრთა კაბინეტს ორი რესპუბლიკელი მინისტრი დატოვებს, მესამე „ოცნების“ გუნდში დარჩა. თქვენი შეფასებები მათ გადაწყვეტილებაზე და რა შანსები აქვს ამ პარტიას?***

— როცა დიდი სახელისუფლო კოალიცია იშლება, ზოგიერთი პარტია კარგავს სახელისუფლო პარტიის სტატუსს. პატარა პარტიები, რომლებიც ცალკე გავლენ, აღარ არიან სახელისუფლო პარტიები. ეს ადამიანებს ყოველთვის აყენებს გადაწყვეტილების წინაშე, რა ურჩევნიათ, დარჩნენ სახელისუფლო გუნდში თუ დარჩნენ ძველ პარტიებში.

ის, ვინც აღმასრულებელ ხელისუფლებაშია და დაინტერესებულია იმ საქმის კეთებით, რასაც მოჰკიდა ხელი, ხშირად უარს ამბობს პარტიულ კუთვნილებაზე და რჩება აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

წულუკიანმა ანალოგიური ნაბიჯი გადადგა, როცა თავისუფალი დემოკრატები გავიდნენ ცალკე. იგივე მოხდა ახლაც. აგულაშვილმა გადაწყვიტა, დარჩეს აღმასრულებელ ხელისუფლებაში, რის გამოც შეუერთდა „ქართულ ოცნებას“. ამის გაგება ადვილია.

***— რესპუბლიკელების შანსებზე რას იტყვით?***

— რეიტინგები სახარბიელო ნამდვილად არ აქვთ. მათი უახლოესი მიზანი აშკარად არის ბარიერის გადალახვა. ეს მიზანი ვერ იქნება მიღწეული, რესპუბლიკელებმა თუ არ გააცნობიერეს ის, თუ რატომ აქვთ დაბალი რეიტინგი.

***— და რატომ აქვთ?***

— მე ვერ ვხედავ, რომ აცნობიერებდნენ. მათ სჭირდებათ ხშირი კონტაქტი საზოგადოებასთან იმისთვის, რომ მოსახლეობის აზრი გაიგონ და მერე ამ საზოგადოებრივი აზრის შესაბამისად შეცვალონ საკუთარი სტრატეგია. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი რეიტინგი არ მოიმატებს.

***— თავდაცვის მინისტრის პოსტზე რამდენიმე კანდიდატი განიხილება. როგორი უნდა იყოს ახალი თავდაცვის მინისტრი? რა სტანდარტებს და მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ის?***

— დასავლური გამოცდილება, რომ თავდაცვის ხელმძღვანელი იყოს სამოქალაქო პირი, გარკვეულ ლოგიკას გულისხმობს და რა ქვეტექსტიც იგულისხმება, გასაგებია — პოლიტიკური კონტროლის ქვეშ უნდა იყოს ჯარი. მაგრამ მე მეეჭვება, რომ ანალოგიური პრობლემა დღეს საქართველოში იდგეს, მაგალითად, სამხედრო გადატრიალების. ამიტომ ეს ასპექტი ნაკლებად აქტუალურია საქართველოსთვის. ჩვენთვის უფრო აქტუალურია პროფესიონალიზმი ჯარის ფორმირებასა და განვითარებაში. ამიტომ უმჯობესია, ახალი თავდაცვის მინისტრი პროფესიონალი იყოს.

# ამერიკის კონგრესი: „საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს ვუჭერთ“

## „საქართველო აშშ-ის გრძელვადიან ინტერესშია“



ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი ორპარტიული რეზოლუცია მიიღო.

მომდევნო ეტაპზე რეზოლუციას კენჭს უყრიან 2016 წლის შემოდგომაზე დაგეგმილ კონგრესის პლენარულ სხდომაზე, სადაც კონგრესმენთა უმრავლესობის მხრიდან მხარდაჭერის შემთხვევაში, რეზოლუცია საბოლოო სახით დამტკიცდება.

საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარეების ტედ პოსა და ჯერალდ კონოლის მიერ წარდგენილი რეზოლუცია ორპარტიული მხარდაჭერით სარგებლობს. საერთო ჯამში, რეზოლუციას ჰყავს 31 თანასპონსორი — წარმომადგენელთა პალატის როგორც რესპუბლიკელი, ისე დემოკრატი წევრები.

რეზოლუცია აშშ-ის კონგრესის მიერ საქართველოსადმი და მისი ტერიტორიული მთლიანობისადმი მრავალი წლის განმავლობაში გაწეული თანადგომის უმნიშვნელოვანესი გამოხატულებაა, რომელიც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საქართველოსადმი აშშ-ის პოლიტიკური მხარდაჭერის მაღალ დონეს.

რეზოლუცია მოუწოდებს აშშ-ს მთავრობას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შეუქცევადი მხარდაჭერისაკენ და არაღიარების იმგვარი პოლიტიკის გატარებისაკენ, რომლის მსგავსიც წარმატებით განხორციელდა ბალტიის ქვეყნების — ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის შემთხვევაში.

საბჭოთა კავშირის მიერ ბალტიის ქვეყნების ოკუპაციის დღიდან ამერიკის შეერთებული შტატები არ ცნობდა მათ საბჭოთა კავშირის შემადგენელ რესპუბლიკებად.

რეზოლუციის თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატები, ნებისმიერი გარემოების მიუხედავად, არ ცნობს რუსეთის დე-იურე და დე-ფაქტო კონტროლს საქართველოს შემადგენელ რომელიმე ნაწილზე, მის საჰაერო სივრცესა და ტერიტორიულ წყლებზე, მათ შორის, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე/სამხრეთ ოსეთზე.

რეზოლუცია გმობს რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებულ სამხედრო ინტერვენციასა და მისი ტერიტორიის ოკუპაციას; ასევე ოკუპირებული ხაზის გასწვრივ რუსეთის უკანონო ქმედებებს.

მოუწოდებს რუსეთს, რომ გაიწვიოს საქართველოს ტერიტორიების — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება და უარი თქვას მის მიერ წარმოებულ ქმედებებსა და პოლიტიკაზე, რომლებიც ძირს უთხრის საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

რეზოლუცია ასევე მოუწოდებს რუსეთს, რომ გადადგას ნაბიჯები ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე საქართველოსა და რუსეთს შორის 2008 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილი შეთანხმების ყველა პირობის შესასრულებლად.

რეზოლუცია ხაზს უსვამს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკების ფარგლებში ძირითად საკითხებზე პროგრესის მიღწევის საჭიროებას.

რეზოლუცია მოუწოდებს აშშ-ის ადმინისტრაციას, რომ გააღრმავოს საქართველოსთან თანამშრომლობა საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ყველა სფეროში, მათ შორის საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.

იგი ასევე მოუწოდებს აშშ-ის ადმინისტრაციას, გააძლიეროს საქართველოს უსაფრთხოება ერთობლივი სამხედრო წვრთნებისა და საქართველოსთვის თავდაცვითი შესაძლებლობების მიწოდების გზით.

აღნიშნული ნაბიჯები ხელს შეუწყობს საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის გაძლიერებას.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ თავისუფალი, დემოკრატიული და სუვერენული საქართველო აშშ-ის გრძელვადიან ინტერესშია, რადგან იგი ხელს უწყობს რეგიონში მშვიდობასა და სტაბილურობას.

**ნიუსპრესი**

# პროკურატურამ სალომე ჩარკვიანთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა



ცენტრ პოინტის საქმეზე ბრალდებულ სალომე ჩარკვიანსა და პროკურატურას შორის საპროცესო შეთანხმება გაფორმდა.

ამის შესახებ 15 ივლისს გახდა ცნობილი.

მთავარი პროკურატურის განცხადებაში ნათქვამია, რომ მან სასამართლოს სალომე ჩარკვიანისთვის საპროცესო შეთანხმების დასამტკიცებლად შუამდგომლობით უკვე მიმართა.

— საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 2016 წლის 10 ივლისს, შპს ცენტრ პოინტ ჯგუფის ფილიალის, ცენტრ პოინტ აჭარას ყოფილი დირექტორი სალომე ჩარკვიანი სასამართლოს მიერ გაცემული განჩინების საფუძველზე, პროკურატურის თანამშრომლების მიერ დაკავებულ იქნა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვის ფაქტზე. დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

სალომე ჩარკვიანს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 2016 წლის 12 ივლისს შეეფარდა.

15 ივლისს, მასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების თხოვნით, სალომე ჩარკვიანმა განცხადებით მომართა თბილისის პროკურატურას.

— განცხადების განხილვისას ბრალდების მხარემ გაითვალისწინა რიგი გარემოებები. კერძოდ: სალომე ჩარკვიანმა სრულად ითანამშრომლა გამოძიებასთან, მისცა საქმის რეალური გარემოებების ამსახველი ობიექტური ჩვენება. იგი წარსულში არ არის ნასამართლევი. საქმეში მისი როლი და ქმედების ხასიათი შედარებით ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია, — აღნიშნულია განცხადებაში.

პროკურატურის მიერ ასევე გათვალისწინებული იქნა ის გარემოება, რომ დაზარალებულებმა მათთან გავლილი წერილობითი კონსულტაციების დროს დააფიქსირეს თანხმობა სალომე ჩარკვიანისთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით და ყოველივე ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სალომე ჩარკვიანთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე, რის შედეგადაც მას სასჯელის სახით განესაზღვრება პირობითი მსჯავრი.

— ზემოხსენებული შუამდგომლობით ბრალდების მხარემ უკვე მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, — ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თამაზ მეჭიაური: „ივანიშვილმა მართვის სადავეები დაკარგა“

## „მიმდინარეობს ხელისუფლების ხავერდოვანი გადაბარების პროცესი“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ მიიჩნევენ თავს მთავარ ოპოზიციურ ძალად, რა გარიგება დადო „ოცნებამ" ნაცმოძრაობასთან, წამოვლენ თუ არა მის პარტიაში მმართველ ძალაზე განაწყენებული დეპუტატები, ვისთან აპირებენ გაერთიანებას? – ამის შესახებ „ახალ თაობას" თამაზ მეჭიაური ესაუბრება.**

***– თქვენ გადაცემაში „პრიორიტეტები“ სტუმრობისას განაცხადეთ, რომ მთავარ ოპოზიციურ ძალას წარმოადგენთ. ამ დროს პარტიის ფორმირება არ დაგისრულებიათ და არც თქვენი საარჩევნო სიის პირველი ათეულია ცნობილი. რა გაძლევთ იმის თქმის საბაბს, რომ მთავარ ოპოზიციურ ძალას წარმოადგენთ?***

– ამის თქმის საბაბს ბევრი ფაქტორი მაძლევს. ამასთან, მე რომ არ მეთქვა, მთავარი ოპოზიციური ძალა ვართო, ეჭვი გეპარებოდათ ამაში? რაც შეეხება სიის პირველ ათეულს, ეს საზოგადოებისთვის როგორ გახდებოდა ცნობილი, როცა ბოლომდე მეც არ ვიცი. არა, როგორ არ ვიცი, მაგრამ შესაძლოა პატარა კორექტივები კიდევ შევიტანოთ.

***– თქვით, რომ ბევრი მიზეზი გაძლევთ იმის თქმის საბაბს, რომ მთავარი ოპოზიციური ძალა ხართ. იქნებ ჩამოთვალოთ ეს მიზეზები?***

– ამის პირველი მიზეზი „ქართული ოცნების“ მიერ წარმოდგენილი ახალი სახეებია. ამ პრეზენტაციის შემხედვარე კაცი ვერ მიხვდებოდა, ვისი სიის წარდგენა იყო – ნაციონალების, თავისუფალი დემოკრატებისა თუ რესპუბლიკელების.

ეს პარტიები და „ქართული ოცნება“ იმდენად იდენტურები გახდნენ როგორც საშინაო, ასევე საგარეო ხედვებით, რომ ერთმანეთისგან ვერ გაარჩევთ. „ოცნება“ ნაციონალებისგან მხოლოდ მართვის სტილით განსხვავდება. ნაციონალების დროს ქვეყნის მართვის არაადამიანური სტილი იყო დამკვიდრებული, ახლა ცოტა მოუქნელი და ლიბერალური სტილით იმართება ქვეყანა, რასაც ოსტატურად იყენებს ყოფილი ხელისუფლება და „ქართული ოცნება“ თავისი გავლენის ქვეშ ჰყავს მოქცეული. ხელისუფლების ხავერდოვანი გადაბარება მიდის.

***– რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, რომ ნაციონალებს თავიანთი გავლენის ქვეშ ჰყავთ მოქცეული „ოცნება“?***

– იმას, რომ ხელისუფლება წინამორბედის გავლენის ქვეშაა. აქამდე რესპუბლიკელების მეშვეობით ახორციელებდნენ მათზე კონტროლს, ახლა ამ პორტირებული ახალი სახეებით ასრულებენ ამ მისიას.

ამერიკიდან მართული პოზიცია და ე.წ. ოპოზიცია ერთმანეთში ღრმად არიან ინტეგრირებული. მათთვის ერთადერთ საფრთხეს ჩვენ და კიდევ რამდენიმე ჩვენნაირი პარტია წარმოადგენს. ჩვენი ხედვები მათგან რადიკალურად არის განსხვავებული. ჩვენ საგარეო კურსსაც და სამართლიანობის აღდგენასაც სხვადასხვანაირად ვუყურებთ. განსხვავებული შეხედულებები გვაქვს არასამთავრობოებთან დაკავშირებით. ღიად ვამბობთ, რომ არ შეიძლება, უცხო ქვეყანა აფინანსებდეს არასამთავრობოებს, რადგან ისინი ყოველთვის დამფინანსებლის ინტერესებს გაატარებენ.

მათი ინტერესების გამტარებლები არიან პოზიცია და ე.წ. ოპოზიცია. ისინი ერთმანეთს მხოლოდ იმაში ეჯიბრებიან, რომ პატრონს ერთგულება დაუმტკიცონ. ჩვენ კი მათგან რადიკალურად განვსხვავდებით.

***– თქვენი და თქვენნაირი პარტიების საარჩევნოდ გაერთიანება ხომ არ იგეგმება?***

– საარჩევნოდ არა მგონია, რაიმე გაერთიანება შედგეს. ჩემი აზრი ასეთია, რომ ყველამ დამოუკიდებლად ვიყაროთ კენჭი. ვნახოთ, ვის რა ელექტორატი ჰყავს. პარლამენტში მოხვედრის შემდეგ კი გაერთიანებაზე ვიფიქრებთ. ოღონდ ჩვენ დაგვიპირისპირდნენ და პოზიცია-ოპოზიცია რიგ საკითხებში მოკავშირეებიც კი ხდებიან.

***– ზემოთ თქვით, რომ ხელისუფლების ხავერდოვნად გადაბარების პროცესი მიმდინარეობს. ამ პროცესში ბიძინა ივანიშვილიც მონაწილეობს?***

– ივანიშვილი ამ ყველაფრის საქმის კურსშია, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შეუძლია. ის პროცესებს ველარ მართავს და, როგორც ჩანს, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა.

***– პროცესებს რატომ ველარ მართავს?***

– მას მართვის ბერკეტები აღარ გააჩნია. დღეს ამ ბერკეტებს ამერიკელები ფლობენ.

***– ისე ხომ არ მოხდება, რომ საკუთარი გუნდის წევრებიც ზურგს აქცევენ? ასეთი რამ საქართველოში ხშირად მომხდარა.***

– შეუტრიალდებიან რომელია. ამ ვითარებაში ჩვენ და ჩვენნაირი პარტიები ვიქნებით ამ ქვეყნის სტაბილურობის ერთადერთი გარანტები. ერთი ჯიშსაშენიდან გამოყვანილი პოზიცია და ე.წ. ოპოზიცია ქვეყნის სტაბილურობას ვერ უზრუნველყოფენ.

***– თქვენ რატომ იქნებით გარანტები და ისინი – ვერა?***

– იმიტომ, რომ დესტაბილიზაციის გზით შეეცდებიან ხელისუფლების გადაბარებას, შეეცდებიან, ვექტორი არ შეცვალონ და ისეთი ვითარება შექმნან ქვეყანაში, როგორიც უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთშია. გაყოფილია ქვეყნები ორად, ერთ ნაწილს რუსეთი მართავს, მეორე ნაწილს – ამერიკა. ქვეყნის გარეთ მიდის ვაჭრობა, ხალხი კი კატასტროფულ მდგომარეობაშია. დაახლოებით ასეთი სცენარის განვითარება უნდათ საქართველოშიც. აქ კიდევ უფრო ცუდად იქნება საქმე.

***– უფრო ცუდად რატომ იქნება?***

– როცა პოზიციაც და ე.წ. ოპოზიციაც ერთი ქვეყნის, ამ შემთხვევაში ამერიკის იქნება, უფრო ადვილად დაანგრევენ სახელმწიფოს. ამაში მათ ხელს შევუშლით. აქედან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილიც იძულებული იქნება, მხარი დაუჭიროს იმ არჩევანს, რომელსაც ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი გააკეთებს. ის გარე ძალების სერიოზული ზეწოლის ქვეშ არის, მაგრამ ხალხის ნებას მაინც გაითვალისწინებს.

***– „ქართული ოცნების“ რამდენიმე დეპუტატი აპირებს თქვენს პარტიაში გადმოსვლას. ერთი მათგანი ზურაბ ზვიადაური იქნება. მართალია ეს ამბავი?***

– ამ თემაზე კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით. არც ზვიადაურთან და არც „ოცნების“ სხვა დეპუტატებთან კონსულტაციები არ მქონია. „ქართული ოცნების“ დეპუტატები თუ წამოვლენ, ეს ძალიან ლოგიკური ნაბიჯი იქნება.

***– რატომ იქნება ლოგიკური ნაბიჯი?***

– ის „ქართული ოცნება“, რომელმაც 2012 წელს არჩევნები მოიგო, ჩვენთან უფრო ახლოა, ვიდრე იქ. პარტიაში იმ ადამიანების იგნორირება ხდება, რომლებიც შექმნის დღიდან „ქართულ ოცნებაში“ იყვნენ და ამ წლების განმავლობაში გვერდით ედგნენ მას. იმ გუნდს უნდობლობა გამოუცხადეს. მხოლოდ რამდენიმე კაცი დატოვეს პოლიტსაბჭოში, მაგრამ პარტიის რიგებიდან ახალი არავინ დაუწინაურებიათ. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ამ ადამიანებს არაკომპეტენტურებად მიიჩნევენ.

***– გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენ და თქვენი პარტია 16 ივლისს ლაშარის სალოცავში აპირებთ ფიცის დადებას.***

– ასე პათეტიკურად არაფერს ვაპირებთ. ლაშარობაზე აუცილებლად წავალთ და, ვინ რას ჩაუთქვამს, ეს მისი საქმეა. არ არის გამორიცხული, იქ ჩვენი პარტიის ახალი სახეებიც გამოჩნდნენ.

***– ლოზუნგი ასეთი ხომ არ გექნებათ: „ელირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა“?***

– არა, ლოზუნგი ასეთი არ იქნება. ლაშარის გორზე ყოველ წელს მიწევს ასვლა. ეს სხვებმა იოცნებონ იქ ასვლაზე.

***– ბოლოსკენ თქვენი თანაპარტიელის, დავით ფაცაციას ცემის ფაქტზეც მინდა გკითხოთ. 14 ივლისს ტვ პირველის ეთერში მას ზვიად კუპრავა ეჩხუბა, რომელიც ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარეა.***

– მოდით, დავიწყოთ იმით, რომ ფაცაცია არ უცემიათ, მას მზაკვრულად დაესხნენ თავს. ამ ბიჭს აქვს მხედველობის პრობლემა, ლინზებს ატარებს და პატარა დაზიანება მიიღო. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამაზე პროკურატურამ საქმე აღძრა, მაგრამ ჩვენ მის დასჯას არ ვითხოვთ.

***– რატომ არ ითხოვთ მის დასჯას?***



### „ზვიად კუპრავას ცემას არ ვაპირებთ“

– ეს პიროვნება ისედაც დასჯილია. ზვიად კუპრავა ნაციონალების დროს იყო ცნობილი ზონდერი და მას ბევრი ადამიანი ჰყავს გამწარებული. მისთვის სამაგიეროს გადახდის სურვილი ბევრს ექნება. ერთადერთი ადგილი, სადაც უსაფრთხოდ იქნება, არის ციხე. ქუჩაში თავისუფლად სიარული მისთვის ყოველთვის სახიფათო იქნება.

არ მინდა, ეს ვინმემ ჩვენი მხრიდან მუქარად აღიქვას. ახლავე ვაცხადებ, რომ მის ცემას არ ვაპირებთ, თუმცა დღეის შემდეგ უფრო ფრთხილად ვიქნებით და ვინმე კიდევ თუ გაბედავს მსგავს თავდასხმას, უპასუხოდ ნამდვილად არ დარჩება. ყველამ იცოდეს, რომ პოლიციაში არ ვიჩივლებთ და თავად გავცემთ პასუხს.

ამ ამბავში კიდევ ერთი საფრთხე დავინახე. ხელისუფლებაც და ნაციონალური მოძრაობაც დაინტერესებული არიან იმით, რომ გადაგვიყვანონ სამართალდამცავ ორგანოებში სიარულის რეჟიმში. „ქართული ოცნება“ ცდილობს, კორცხელის ინციდენტიდან ამ ფაქტზე გადაიტანოს ყურადღება და გამოგვაცხადოს, როგორც დაზარალებულები.

***– ხომ ხართ დაზარალებულები?***

– ჩვენ არავის ვუჩივით და ეჭვი გვაქვს, რომ ჩვენი მოცდენა უნდათ. გადაწყვიტეს, პოლიციაში გვარბენინონ და ამით ჩვენს ძირითად საქმიანობას მოგვწყვიტონ.

# მარგველაშვილმა პაპუაშვილს მხარი დაუჭირა

## პრეზიდენტმა უზენაესის მოსამართლედ ლევან ბოძაშვილი წარადგინა



15 ივლისს საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ბათუმში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილს შეხვდა.

– საკონსტიტუციო სასამართლო თამაშობდა და თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს სახელმწიფოს სამართლებრივი და დემოკრატიული ფუნქციონირების თვალსაზრისით, – განაცხადა პრეზიდენტმა შეხვედრის შემდეგ.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, საკონსტიტუციო სასამართლო არის უმნიშვნელოვანესი ორგანო არა-



მარტო საქართველოსნაირი ახალი დემოკრატიებისთვის, არამედ დღეს ტრადიციული ევროპაც საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციებიდან გამომდინარე ავითარებს თავის დემოკრატიულ სისტემას.

– გამომდინარე იქიდან, რომ რამდენიმე ხნის წინ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ დააფიქსირა თავისი შეწუხება, პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ გარკვეული ზეწოლის მცდელობას ჰქონდა ადგილი, მე დავუდასტურე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს ჩემი მხარდაჭერა. მე დავუდასტურე ასევე ჩემი რწმენა, რომ ისინი თავის გადაწყვეტილებებს მიიღებენ მხოლოდ თავისი რწმენის საფუძველზე, – განაცხადა მარგველაშვილმა.

გიორგი პაპუაშვილმა პრეზიდენტთან შეხვედრით კმაყოფილება გამოთქვა.

– პრეზიდენტმა გამოხატა სრული მხარდაჭერა, რომ პოლიტიკური ზეწოლის შემთხვევაში, ის სასამართლოს გვერდში დადგება, – განაცხადა მან.

პაპუაშვილის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტმა აღნიშნა ის როლი, რასაც საკონსტიტუციო სასამართლო ქვეყანაში დემოკრატიული და კონსტიტუციური პრინციპების განმტკიცების საკითხში თამაშობს.

– არის შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ეხება პოლიტიკურ პროცესებს და ბუნებრივია, რომ პოლიტიკური დებატების ქარიშხალშიც აღმოჩნდეს სასამართლო, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ, როგორც ინსტიტუციამ და თითოეულმა მოსამართლემ თავი იგრძნოს დაცულად, – აღნიშნა ბ-მა პაპუაშვილმა.

მისი თქმით, იყო ფაქტები, როცა მცდელობები იყო სასამართლოზე და თითოეულ მოსამართლეზე ზეწოლის.

– ჩვენ მივმართეთ საზოგადოებას, შესაბამის სტრუქტურებსაც და არაადეკვატური რეაგირება იყო. მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტმა გამოხატა ამის შესახებ წუხილი და ასევე სრული მხარდაჭერა, რომ თუკი ასეთი ფაქტები გაგრძელდება, ის სასამართლოს, როგორც ინსტიტუციის და თითოეული მოსამართლის გვერდში გვერდში დადგება, რათა მათ ჰქონდეთ ყველანაირი შესაძლებლობა იმისთვის, რომ თავიანთი გადაწყვეტილება მიიღონ მხოლოდ კანონსა და შინაგან რწმენაზე დამყარებით და არა გარკვეული ზეწოლის საფუძველზე, – განაცხადა გიორგი პაპუაშვილმა.

* * *

ამავე დღეს, 15 ივლისს, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ ლევან ბოძაშვილის კანდიდატურა წარადგინა.

პრეზიდენტმა საგანგებო ბრიფინგი ბათუმის სასტუმრო რედისონში გამართა.

პრეზიდენტის განცხადებით, ლევან ბოძაშვილი უშიშროების საბჭოში მუშაობდა და მას მიუკერძოებელი და უმწიკვლო წარსული აქვს.

პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ მის მიერ წარდგენილ კანდიდატს პარლამენტში ამჯერად მხარს დაუჭერენ.

– მას გააჩნია მართლაც მიუკერძოებელი, უმწიკვლო წარსული თავის საქმიანობაში. მე იმედი მაქვს, რომ საქართველოს პარლამენტი და ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც პარლამენტში არიან, გულისყურით მოეკიდებიან როგორც იმას, რომ საბოლოოდ, მესამე მოსმენით უნდა იქნას მიღებული კანონი სასამართლოს სისტემის შესახებ, ასევე, იმას, რომ მე უკვე წარვადგინე უზენაეს სასამართლოს სამი მოსამართლის კანდიდატურა და სასამართლოს სისტემას სჭირდება ეს მოსამართლეები, – განაცხადა მარგველაშვილმა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ანზორ აბრალავა: „ნიკა გვარამია სახიფათო განცხადებებს აკეთებს“

## „რომან გოცირიძე ძველი, ჩამოწერილი სახეა“

მარიამ მჭედლიშვილი

**რამდენიმე თვეა, რაც აქტიური საუბარი მიდის ქვეყნის პოლიტიკური სპექტრის განახლების აუცილებლობაზე. ამ დღეებში ახალი სახეები წარმოადგინა „ქართულმა ოცნებამ". რატომ გახდა აქტუალური პოლიტიკური სახეების განახლება? ყოფილი დეპუტატი ანზორ აბრალავა „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ ამის საჭიროება დიდი ხანია, არსებობს.**



**ანზორ აბრალავა:**

— საქართველოში ჩვენ ვაკვირდებით ერთ ნეგატიურ მოვლენას — წლებია, პოლიტიკაში არიან ერთი და იგივე პოლიტიკური სახეები. ზოგიერთი უმაქნისი პოლიტიკური ლიდერი ოც წელიწადზე მეტია, პოლიტიკაში ტრიალებს. ყველაზე უარესი ისაა, რომ ეს ცნობილი ლიდერები დაკავებული არიან ინტრიგების ხლართვითა და კონფლიქტების ინსპირირებით. ბევრი პოლიტიკოსი ყველაფერს უარყოფს.

***— რას ნიშნავს „ყველაფერს უარყოფს“?***

— მაგალითს მოვიყვან. ზღვისპირეთში ბიძინა ივანიშვილმა ააშენა მაღალი დონის საკონცერტო დარბაზი. ის გახდა სახელმწიფოს საკუთრება. გამოდის რომან გოცირიძე და აცხადებს, რომ ეს ცუდია, იმიტომ, რომ სახელმწიფოს ძვირად დაუჯდება ამ საკონცერტო დარბაზის შენახვა. ეს, რბილად რომ ვთქვათ, არის ყველაფრის უარყოფა. ზოგიერთი პოლიტიკური გუნდი განახლებას კი არა, საზოგადოებისგან იზოლირებას საჭიროებს.

***— რომან გოცირიძე ახსენეთ და ის ნაცმოძრაობის განახლებული საარჩევნო სიის წარმომადგენელია.***

— რომან გოცირიძის ახალ სახედ დასახელება, ცოტა არ იყოს, სასაცილოა. ეს ძველი ჩამოწერილი სახეა. კუპონიზაციის ამბავი ყველამ იცის. იგი იყო თენგიზ სიგუას მოადგილეც. დადგენილია, რომ პრემიერის ხელმოწერის გაყალბების გზით მან საკუთარ თავს გამოუყო ბინა.

ნაციონალური მოძრაობის სიის არც სხვა სახეებია ახალი. ვინც არ უნდა შეიყვანონ ნაციონალებმა სიაში, ვერ ჩამოირეცხავენ არაადამიანურ დანაშაულებსა და ცოდვებს. შეცდომები დავუშვითო, ამბობენ. ეს შეცდომები კი არა, უმძიმესი დანაშაულია. ამის საილუსტრაციოდ მარტო ნაწამები სულხან მოლაშვილის გარდაცვალებაც კმარა. სულხანს პირადად ვიცნობდი. ის უნიჭიერესი და კეთილშობილი ვაჟკაცი იყო. მისი სიკვდილი ნაციონალური მოძრაობის კისერზეა. მთავარი დამნაშავე სააკაშვილია, მაგრამ ამ სიკვდილში მონაწილეობს ყველა, ვინც მხარს უჭერდა და უჭერს სააკაშვილს.

***— რატომ გვიანდება სულხან მოლაშვილის წამების ფაქტის გამოძიების ბოლომდე მიყვანა?***

— ეს ფაქტი, ფაქტობრივად, გამოძიებულია. დამნაშავეების მოძიება რთული არ არის. მთავარი დამნაშავე სააკაშვილია.

***— პოლიტიკური განახლების თემას დავუბრუნდეთ. ექსპერტებიც მიიჩნევენ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ განახლებული სია წარმოადგინა.***

— ამას არ ვეთანხმები. ამ პარტიაში არც სახეები ახალი და არც იდეები. ელენე ხოშტარიაა ახალი სახე? ეს ქალი ყოველთვის ნაციონალურ მოძრაობასთან შეკრული ექსპერტი იყო და ყველა საკითხზე აკეთებდა კომენტარს. ახლაც აგრძელებს კომენტარებს. საყურადღებოდ მიმაჩნია ნაციონალური მოძრაობის ტელეკომპანიის გენდირექტორ ნიკა გვარამიას განცხადებები.

***— რომელი განცხადებები?***

— ბოლოდროინდელი, სასამართლოსთან დაკავშირებული და ადრინდელიც. ხელისუფლებამ კარგად უნდა გააანალიზოს ნიკა გვარამიას განცხადებები. იქ გახმოვანებულია ნაციონალური მოძრაობის ძალადობრივი გეგმები. დარწმუნებული ვარ, სახელმწიფო არ დაუშვებს, რომ ამ ხალხმა კონსტიტუციისა და ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯები გადადგას. გვარამია და სხვები დირექტივებს უკრაინიდან იღებენ. სააკაშვილი ადრე საქართველოს პრობლემა იყო. ახლა უკრაინის პრობლემაც გახდა. ის იქიდან მართავს თავის დანაშაულებრივ პარტიას.

***— „ქართული ოცნების“ განახლებული შემადგენლობის პრეზენტაციის შემდეგ ამ პარტიიდან გამოყოფილი თამაზ მეჭიაურის გუნდის წევრებმა დაასკვნეს, რომ „ოცნება“, სინამდვილეში, თამაზ მეჭიაურის პარტიაა. მოსახლეობაშიც ხომ არ იქნება ასეთი შთაბეჭდილება?***

— არა მგონია. „ქართულ ოცნებას“ თავისი სახე ექნება. თამაზ მეჭიაურს პატივს ვცემ. ის წესიერი კაცი და პატრიოტია. თაობათა ცვლა დადებითი პროცესია. სიახლეების შემოტანა ამ პარტიასაც შეუძლია. ახალი და პროგრესული იდეები მხოლოდ ახალგაზრდებს არ მოაქვთ. ახალი იდეის ავტორი შეიძლება 80 წლის კაციც იყოს. ასაკობრივი დისკრიმინაცია თავის დროზე სააკაშვილმა შემოიღო. „ქართულ ოცნებას“ ახალ სახეებთან ერთად ეყოლება ცნობილი ძველი სახეებიც.

***— მეტისმეტად ინტენსიური აქცენტი კეთდება უცხოეთში მიღებულ განათლებაზე. გიგლა ბარამიძე ფიქრობს, რომ ასეთი ფორმით ამ თემის წამოწევა პროვინციული სნობიზმია.***

— გადაჭარბებული დოზით ამაზე ლაპარაკის მომენტი მართლაც შეიმჩნევა. ერთმანეთის კრიტიკაც პოლიტიკური სუბიექტების უფლებაა, თუმცა ყველაფერს პროცესები გამოაჩენს. პარტიები არ უნდა ჩაიკეტონ, არ უნდა ჩამორჩნენ დროს. მათ ერთმანეთს კონკურენცია უნდა გაუწიონ. სიახლეებისა და პროგრესული იდეების შემოტანა ქვეყანას სიკეთეს მოუტანს.

# ეკა ბესელია: „ეთიკური იქნებოდა, რომ ბოძაშვილის კანდიდატურაზე გვემსჯელა“

ბოძაშვილის კანდიდატურა არის საინტერესო კანდიდატურა, დანარჩენ დეტალებზე არ ვისაუბრებ, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ წევრმა ეკა ბესელიამ პრეზიდენტის მიერ წარდგენილი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატურასთან დაკავშირებით განაცხადა.

ეკა ბესელიას განმარტებით, უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების საკითხი არის ყველაზე მნიშვნელოვანი და ყურადღება უნდა გამახვილდეს კადიდატების რეპუტაციაზე, გამოცდილებასა და კვალიფიკაციაზე.

— უფრო ეთიკური და კორექტული იქნება, რომ ამ ახალ კანდიდატურასთან დაკავშირებით გუნდში ერთად ვიმსჯელოთ და ყველა საკითხი გავაანალიზოთ. შემიძლია გითხრათ გულწრფელად, რომ სასამართლოს რეფორმა, კანდიდატების განხილვა, უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების საკითხი ეს არის უსერიოზულესი, მე ვიტყოდი, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ჩვენთვის. რეფორმას ჩვენ ბოლომდე მივიყვანთ და ყველა კანდიდატს მოვეპყრობით ძალიან მაღალი პასუხისმგებლობით, რომ უზენაეს სასამართლოში ისევე, როგორც სხვა ინსტანსციის სასამართლოებში, იყვნენ მაღალი რეპუტაციის, გამოცდილების, კვალიფიკაციის ადამიანები, რომ მართლმსაჯულების აღსრულება ჩვენი მოქალაქეებისთვის იყოს გარანტირებული, — აღნიშნა ეკა ბესელიამ.



მისივე განმარტებით, პარლამენტი ამ ეტაპზე სასესიო ფორმატში არ მუშაობს და კონკრეტული საკითხის განხილვამდე ჯერ დისკუსიის ეტაპი უნდა დამთავრდეს.

— პარლამენტი არ მუშაობს ამ ეტაპზე სასესიო ფორმატში იმიტომ, რომ რეგლამენტში წერია ასე და ჩვენ რეგლამენტის მიხედვით ვმოქმედებთ. ასე, რომ დათხოვნილი არ არის პარლამენტი, მაგრამ რეგლამენტმა პარლამენტს ასე ვთქვათ, გამოუცხადა, რომ უნდა შეწყდეს სასესიო მუშაობა სექტემბრამდე. რაც შეეხება კონკრეტული საკითხების განხილვას, ჯერ ეს საკითხები უნდა მომზადდეს, დისკუსია გაიმართოს, ყურადღებით განვიხილოთ, — აღნიშნა ეკა ბესელიამ.

**ინტერპრესნიუსი**

# გია ცაგარეიშვილი: „ნაციონალებთან კოალიცია წარმოუდგენელია“

ნათია ხურცილავა

**თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი გია ცაგარეიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში წინასაარჩევნო გარემოსა და არჩევნების სავარაუდო შედეგებზე საუბრობს.**

***— ბატონო გია, როგორ შეაფასებთ წინასაარჩევნო პერიოდს?***

— 15-16 წლის მანძილზე, მე უკვე მე-14 არჩევნებში ვიღებ მონაწილეობას და ამგვარი გაუგებარი მდგომარეობა არ მახსოვს. არ მახსენდება, არჩევნებამდე 2,5 თვით ადრე ხელისუფლებას არ ჰყავდეს არც ერთი მაჟორიტარი კანდიდატურა დასახელებული და საარჩევნო სია არ გამოექვეყნებინოს. როგორც ჩანს, ხელისუფლებაში არის პრობლემები. თუმცა, 8 ოქტომბერს მიიღებს საზოგადოება გადაწყვეტილებას, რამდენად ადეკვატურია „ოცნება“. ფაქტი სახეზეა, რომ არის დიდი პრობლემები, ხშირ შემთხვევაში გადაულახავი პრობლემები.

***— რაზე დაყრდნობით ამბობთ ამას?***

— თუნდაც, არც ერთი მაჟორიტარი კანდიდატი არ არის დასახელებული. როგორც ჩანს, ვერ თანხმდებიან კანდიდატებზე, რიგითობაზე.

***— ეს თქვენ რაიმე პრობლემას გიქმნით?***

— რასაკვირველია, ჩვენ, კონკურენტებმა, არ ვიცით, ვისთან მოგვიწევს პაექრობა ამა თუ იმ ოლქში. ასევე არ იცის საზოგადოებამ ამის შესახებ, რომ დროულად გააკეთოს არჩევანი. ის, რომ მმართველი პარტია აგვიანებს, დაკავშირებულია იმასთანაც, რომ ყველა გადაწყვეტილება უნდა შეთანხმდეს ბიძინა ივანიშვილთან.

***— ივანიშვილთან ხდება ყველაფრის შეთანხმება?***

— დიახ, ეს პროცესი თანხმდება არა მხოლოდ პარტიის თავმჯდომარე გიორგი კვირიკაშვილთან, არამედ ბიძინა ივანიშვილთან. მე ამაში ეჭვი არ მეპარება. არ იქნება ბიძინა ივანიშვილი, არ იქნება პარტია „ქართული ოცნება“, ის არის ამ პარტიის მთავარი სპონსორი და მთავარი სულის ჩამდგმელი.

***— თქვენი მოლოდინები როგორია არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით? პრემიერი კვირიკაშვილი დარწმუნებულია, რომ 100 დეპუტატს გაიყვანს „ქართული ოცნება“ პარლამენტში.***

— შეიძლება პრემიერი არ არის ღრმად ჩახედული საარჩევნო თემატიკაში და დათვურ სამსახურს უწევენ მას ის ადამიანები, რომლებიც ეუბნებიან, რომ „ქართული ოცნება“ 100 დეპუტატს კი არა, მეტს გაიყვანს. შეიძლება ფიქრობენ, 149 დეპუტატი გაიყვანონ და ერთი სულელი ვინმე იყოს ოპოზიციიდან. დემოკრატი ლიდერი დემოკრატიულ ქვეყანაში არ უნდა ოცნებობდეს აბსოლუტურ უმრავლესობაზე.

***— რეფორმების გასატარებლად გვჭირდება საპარლამენტო უმრავლესობაო.***

— ასეთი განცხადებები ქვეყანას დაღუპვისთვის სწირავს. ჩვენ ეს ყველაფერი გავიარეთ, კარგად ვნახეთ, რას ნიშნავს აბსოლუტური უმრავლესობა, ამის მაგალითები სააკაშვილის ხელში ბევრი იყო. სააკაშვილის უმრავლესობის ხელში როგორი ვაი რეფორმები მივიღეთ, ეს გიორგი კვირიკაშვილს კარგად უნდა ახსოვდეს.



როდესაც პარლამენტს გადააქცევ ერთგვარ ქვევრად, საიდანაც, რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებენ, მაშინ ასეთი ქვეყანა განწირულია. ამის მაგალითები ჩვენ გვქონდა და არ მგონია, კარგი იყოს ერთსა და იმავე წრეზე მუდმივად სიარული. მე მეგონა, რომ ეს ყველაფერი ჩვენ ბატონ კვირიკაშვილთან, ბატონ ივანიშვილთან ერთად წარსულს ჩავაბარეთ. თურმე ეს ასე არ არის და ამაზე ძალიან მტკივა გული. ვინმეს მოსწონს თუ არ მოსწონს, ჩვენ თანამშრომლობა მაინც მოგვიწევს.

***— თქვენ ამბობთ, რომ კოალიციური მთავრობა გარდაუვალია?***

— რა თქმა უნდა, კოალიციური მთავრობა გარდაუვალია და შესაძლებელია, სწორედ ასე განვითარდეს მოვლენები. სწორედ ეს არის შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი. აქ საუბარია რეალურ კოალიციურ მთავრობაზე, არჩევნების შედეგების მიხედვით მიღებულ კოალიციაზე.

***— ხართ მზად, მაგალითად, ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად კოალიციაში სათანამშრომლოდ?***

— არავითარ შემთხვევაში, არა. ეს ვერ მოხდება ვერასდროს, ვერც ერთ ფორმატში. ეს არის წარმოუდგენელი და შეუძლებელი. თუ ჩვენ მოვიპოვებთ ხმათა იმ რაოდენობას, რომ სხვა ჩვენს პარტნიორებთან ერთად შევქმნათ ახალი კოალიცია, ჩვენ მზად ვართ ამისთვის.

# ნაცმოძრაობის აკრძალვის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება იწყება

## ზვიად ჩიტიშვილი: „ახლა გამოჩნდება, ხელისუფლება ხალხის მხარესაა თუ ჯალათების“

**რის სათქმელად მიდიან 20 ივლისს ამერიკის საელჩოსთან, რა კავშირები აქვთ ნაციონალებს რუსეთის აგრესიულ ფრთასთან, რატომ უნდა აკრძალოს ყოფილ ხელისუფლებას საქმიანობა, რა გამოცდა უნდა ჩააბაროს „ქართულმა ოცნებამ"? – ამის შესახებ „ახალ თაობას" პარტია „ჩვენი სამშობლოს" ლიდერი ზვიად ჩიტიშვილი ესაუბრება.**



**ზვიად ჩიტიშვილი:**

– პირველ რიგში, მინდა სამძიმარი გამოვხატო ნიცაში მომხდარი ტერაქტის გამო. ეს ტერორისტული აქტი მიმართული იყო არა რომელიმე ქვეყნის ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ ის იყო უდანაშაულო ხალხის წინააღმდეგ წასვლა. ტერორიზმს არანაირი გამართლება არა აქვს, ისევე, როგორც იმ დანაშაულებს, რომლებიც ნაციონალურმა მოძრაობამ ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩაიდინა.

„ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში სამართლიანობის აღდგენის პირობით მოვიდა. ეს დანაპირები რომ შეესრულებინათ, ყოფილი ხელისუფლება მართლაც გაქრებოდა რადარებიდან. სამწუხაროდ, ხელისუფლება მათი მფარველობით არის დაკავებული.

უკვე 4 წელია ვუყურებთ ამ ხელისუფლების უუნარობას და არც წინ ჩანს რაიმე პერსპექტივა. ამიტომაც გადავწყვიტეთ, დავიწყოთ ხელმოწერების შეგროვება ნაციონალური მოძრაობის აკრძალვის მოთხოვნით.

***– ამ მოთხოვნით ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ გამოვიდნენ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები. მათთან თუ გქონდათ რაიმე კონსულტაციები ამ თემაზე?***

– ძალიან სასიხარულოა, რომ საქართველოში არიან პოლიტიკოსები, რომლებიც მხარს უჭერენ დამნაშავე რეჟიმის გასამართლებას. ამ დროისთვის მათთან არანაირი კონსულტაცია არ გვქონია. ამ დღეებში დავიწყებთ ხელმოწერების შეგროვებას და ალბათ გვექნება მათთან საუბარი. ხელმოწერების შეგროვება მოხდება როგორც საჯარო ადგილებში, ასევე ჩვენს ოფისებში მთელი ქვეყნის მასშტაბით. ვინც მიიჩნევს, რომ ნაციონალები უნდა გასამართლდნენ, შეუძლიათ შემოგვიერთდნენ.

წინა ინტერვიუში ჩვენ იმ აქციაზე ვისაუბრეთ, რომელიც 14 ივლისს სახელმწიფო კანცელარიის წინ გამართეთ, სადაც წავიკითხეთ პეტიცია, რომელიც სულხან მოლაშვილის მკვლელების დასჯას შეეხებოდა. ანალოგიური აქციები გაიმართა ბათუმსა და გორშიც.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ხელისუფლება ამ საქმის გამოძიებას არ აპირებს. ამას თავად სულხანიც გრძნობდა. მან ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში დაიჩივლა, რომ სამართლიანობის აღდგენის სახელმწიფოებრივი ნება არ არსებობდა. მან ამიტომაც გადაწყვიტა პოლიტიკაში მოსვლა, რომ თავად ებრძოლა სიმართლის დასადგენად. გარდა იმისა, რომ თავისი სიმართლე უნდა ეპოვა, სხვებისთვისაც აპირებდა ბრძოლას. ის ჩვენს პარტიაში უნდა გაწევრიანებულიყო და ჩვენ თავს ვალდებულად ვთვლით, მისი დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. იმედი მაქვს, ამ საქმეში სხვა პოლიტიკური პარტიებიც შემოგვიერთდებიან.

ჩვენთან, სამწუხაროდ, უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანები მხოლოდ არჩევნების წინ ახსენდებათ. ახლაც დაიწყეს რაღაც მოძრაობები ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რაც საკმარისი არ არის.

***– თქვენ ამბობთ, რომ ასეთი ხალხი მხოლოდ არჩევნების წინ ახსენდებათ, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლიდან მალევე გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმადაც, 200-მდე პოლიტპატიმარი გათავისუფლდა. უამრავ ადამიანს შეეხო ამნისტია.***

– ეს იყო მხოლოდ ერთი ნაბიჯი. ესეც რომ არ გაეკეთებინათ, აბა, რისთვის მოვიდნენ ხელისუფლებაში? ერთი ვიკითხოთ, როგორ ცხოვრობენ ეს ადამიანები? დაისაჯა რომელიმე მათგანის მწამებელი? დაუბრუნდა რომელიმე მათგანს წართმეული ქონება? დღეს ბევრს რომ ლაპარაკობენ, ნაციონალების დროს ქვეყანაში 200 პოლიტპატიმარი იყოო. მათი გათავისუფლებიდან 4 წელი გადის და არცერთი მათგანის რეაბილიტაცია არ მომხდარა. ეს ყველაფერი ძალიან ბევრ ეჭვს იწვევს. ჩვენ თითქმის აღარ გვეპარება ეჭვი იმაში, რომ ესენი ერთმანეთში არიან გარიგებულები. თუ ეს ასე არ არის, გამოვიდეს და დაამტკიცოს „ქართულმა ოცნებამ“. ჩვენ მათ ამის შანსს ვაძლევთ.

***– რა შანსზე ლაპარაკობთ?***

– როგორც უკვე გითხარით, ნაციონალური მოძრაობის აკრძალვის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებას ვიწყებთ. „ქართული ოცნების“ მიზანი თუ მართლაც სამართლიანობის აღდგენაა, მაშინ შემოგვიერთდნენ ამ საქმეში. ეს პროცესი იქნება სერიოზული ტესტი ხელისუფლებისთვის. თუ მისი წარმომადგენლები უარს იტყვიან ხელმოწერებზე, ვიტყვით, რომ ისინი მართლაც გაურიგდნენ წინამორბედებს.

***– ისინი მიიჩნევენ, რომ რაც შეუძლიათ, ყველაფერს აკეთებენ სამართლიანობის აღდგენისთვის. რამდენიმე დღის წინ კობა დავითაშვილის ცემის ფაქტზე ბრალი წაუყენეს ზურაბ ადეიშვილს.***

– ბრალის წაყენება შველის რამეს? ან რაღა ახლა გაახსენდათ კობა დავითაშვილი? ადამიანი 2007 წლის 7 ნოემბრიდან ითხოვს დამნაშავეების დასჯას, თან არ დაგვავიწყდეს, რომ დავითაშვილი არის დეპუტატი, მათთან ერთად მოვიდა პარლამენტში. თავიანთი თანამებრძოლის საქმეს 4 წელი რომ არ გამოიძიებენ, იქ სხვა ადამიანებს რისი იმედი უნდა ჰქონდეთ?

ან რომ დაიჩემეს, ადეიშვილს ბრალი წავუყენეთო, ამან რამე დააკლო იუსტიციის ყოფილ მინისტრს? იმდენ საქმეში აქვს მას ბრალი წაყენებული, რომ ჩამოთვლაც ჭირს, მაგრამ ის თავისუფლად გადაადგილდება ევროპაში. ასეთი ზღაპრებით სამართლიანობა ვერ აღდგება.

კობა დავითაშვილის გარდა, 2004 წლიდან 2012 წლების ჩათვლით არაერთხელ დაარბია წინა ხელისუფლებამ ოპოზიციის მიტინგები. ამ საქმეზე მხოლოდ რამდენიმე კაცი ჰყავთ დაკავებული. მათაც მინიმალური სასჯელი აქვთ მისჯილი. აქციების მარბიელები ნაციონალებმა დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს, რასაც „ქართული ოცნება“ არ იმჩნევს.

ამიტომაც ვთხოვთ მოსახლეობას, შემოგვიერთდნენ და ერთად ვაიძულოთ ხელისუფლება, დაიწყოს სამართლიანობის აღდგენა. თუ ამაზე არ წავლენ, მაშინ ხალხი გააკეთებს ამას და ორივე ძალას მოიშორებს თავიდან. ჩვენ არ გვჭირდება ამერიკის დავალებების შემსრულებელი ხელისუფლება. ჩვენ ისეთი ხელისუფლება გვინდა, რომელიც პირველ რიგში ქართველი ხალხის დაკვეთას შეასრულებს.

მომდევნო კვირაში, კერძოდ, 20 ივლისს, ამერიკის საელჩოსთან ვაპირებთ აქციის გამართვას და, იმედია, ჩვენი მხარდამჭერები იქაც შემოგვიერთდებიან.

***– ამერიკის საელჩოსთან რატომ აწყობთ აქციას?***

– იმიტომ, რომ ეგენი მფარველობენ ნაციონალურ მოძრაობას. რაც ამერიკელებმა გუანტანამოს ციხეში ჩაიდინეს, იმაზე უარესი გააკეთეს ნაციონალებმა საქართველოში, ქვეყანა გუანტანამოს ციხედ გადააქციეს. ამერიკელებმა რამდენიმე მწამებელი დასაჯეს, მაგრამ საქართველოს ამის გაკეთების უფლებას არ აძლევენ.

ჩვენი აქციის მიზანია, დავუმტკიცოთ ამერიკელებს, რომ ნაციონალები არიან დამნაშავეები და კრიმინალები. რაც მაგათ ციხეებში აქვთ ჩადენილი, თავის დროზე ფაშისტებს არ გაუკეთებიათ. მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 71 წელია გასული და ნაცისტ დამნაშავეებზე დღემდე მიდის ნადირობა, თუ ვინმე მაშინ გადაურჩა სასჯელს და ახლა ასამართლებენ. არადა, ეს ხალხი ას წელს არის მიღწეული. თავის დროზე ამერიკა აქტიურად მონაწილეობდა ნაცისტების გასამართლების პროცესში. თუ მართლა მნიშვნელოვანია მათთვის დემოკრატია და ადამიანის უფლებები, მაშინ ნაციონალების მფარველობასაც უნდა შეეშვან.

ბოლო დროს ჩატარებული კვლევებიდან ჩანს, რომ ამერიკის მიმართ უკმაყოფილების მაჩვენებელი გაზრდილია. ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ისინი კანიბალ ნაციონალებს მფარველობენ. თუ მათ მართლა უნდათ, რომ საქართველო ნორმალურ ქვეყნად ჩამოყალიბდეს, მაშინ შეეშვან ზეწოლასა და დამნაშავეების მფარველობას. მაგათ თუ ჰგონიათ, რომ ნაციონალებმა რადგან ინგლისური კარგად იციან, დემოკრატები არიან, ძალიან შემცდარან. ამერიკელები იმაშიც შემცდარან, თუ ჰგონიათ, რომ ყოფილი ხელისუფლება პროდასავლური ძალაა. მაგათზე დიდი პრორუსული ძალა საქართველოში არ არსებობს.

***– რით გამოიხატება მათი პრორუსულობა?***

– ყველაფრით. დავიწყოთ, რამდენს აგინებენ რუსეთს. ამით მოსკოვის წისქვილზე ასხამენ წყალს. ამ ლანძღვა-გინებით მოსახლეობის ყურადღების გადატანა სურთ და ცდილობენ, თავიანთი ნამდვილი სახე დამალონ. ხელისუფლებაში როცა იყვნენ, ყველა სტრატეგიული ობიექტი რუსეთს გადასცეს. დენი, წყალი, გაზი – ყველაფერი რუსეთის ხელშია. ეს ყველაფერი რუსებს აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდში გადაულოცეს. ეტყობა, ჩათვალეს, რომ მარტო ტერიტორიები არ იყო საკმარისი.

რამდენიმე წლის წინ ვიკილიქსმა გამოაქვეყნა მასალები, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ აგვისტოს ომის დასრულებიდან რამდენიმე კვირაში ქართული მხარე მზად იყო, რუსებისთვის გადეცა ენგურჰესი. აფხაზებს რომ არ ჩაეშალათ ეს ამბავი, ახლა ეს სტრატეგიული ობიექტიც რუსეთის საკუთრება იქნებოდა. ასეთი ხალხი აბრალებს სხვებს პრორუსულობას. კარგი იქნება, თუ ამერიკელები კარგად შეისწავლიან მათ საქმეებს.

***– თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ, რომ ნაცმოძრაობა პრორუსული ძალაა. თქვენც ხომ პრორუსულ ძალად ითვლებით.***

– ჩვენი პრორუსულობა რით გამოიხატება? სადმე ვთქვით, რომ საქართველო რუსეთის გუბერნია უნდა იყოს? სადმე მოვითხოვეთ, რომ საქართველოში რუსეთის დროშები აღიმართოს? ჩვენთვის მთავარი ქართული ინტერესებია და, აქედან გამომდინარე, თავს პროქართულ ძალად მივიჩნევთ.

პრორუსულობას თუ იმიტომ გვაბრალებენ, რომ მოსკოვთან ურთიერთობების დალაგებას ვითხოვთ, სასაცილოა ეს შეფასება. მთელი ეს წლები დასავლელი პოლიტიკოსები სულ ამას გვეუბნებიან და მოგვიწოდებენ, რომ მეზობელთან ურთიერთობა მოვაგვაროთ.

გვინდა თუ არა ეს ჩვენ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების გასაღები რუსეთშია. სამწუხაროდ, ამ ქვეყნის გარეშე მტკივნეული პრობლემა ვერ მოგვარდება. ნაციონალებისა და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ამ პრობლემამ მეორე და მეოთხე პლანზე გადაიწია, ჩვენთვის კი ის უმთავრესი და უპირველესი საკითხია.

კარგად გვესმის, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ევროპასთან და ამერიკასთანაც მოგვიწევს თანამშრომლობა. ჩვენ ყველა ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობა გვინდა, მათ შორის ამერიკასთანაც. მათ მიმართ იმიტომ გვაქვს პრეტენზიები, რომ პრორუსულ ნაციონალებს პროდასავლურებად მიიჩნევენ, ჩვენ კი პრორუსულ ძალად გვთვლიან.

კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ნაციონალებზე პრორუსული ძალა საქართველოში სხვა არ არის. ისინი აქტიურად თანამშრომლობენ რუს პოლიტიკოსებთან.

***– ამის დამადასტურებელი ფაქტები გაქვთ?***

– ახლახან თბილისმა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეას უმასპინძლა. ევროპის სახალხო პარტიამ ეუთოს პრეზიდენტის პოსტზე გიგი წერეთლის კანდიდატურა წარადგინა. წერეთელი, სხვა ნაციონალების მსგავსად, წლების განმავლობაში აგინებს რუსეთს. რუსული დელეგაცია, წესით და რიგით, მისი კანდიდატურის სასტიკი წინააღმდეგი იყო. მათ კი რა გააკეთეს? წერეთელს დაუჭირეს მხარი და ამის შესახებ საჯაროდაც განაცხადეს. ახლა ვკითხულობ, ეს არ მიუთითებს ნაცმოძრაობის პრორუსულობაზე? ამაზე მეტი რაღა უნდა გაეკეთებინა მოსკოვს.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ნაციონალები იმ რუს პოლიტიკოსებთან თანამშრომლობენ, რომლებიც ანტიქართული განწყობით გამოირჩევიან. ისინი ხმაშეწყობილად მოქმედებენ. დაიწყებენ ნაციონალები ანტირუსულ ისტერიას და ეს რეაქციული ძალები ანტიქართულ ქმედებებზე გადადიან. ამით ჯერ საქართველოს ინტერესები ზარალდება და მერე სერიოზული პრობლემები ექმნებათ რუსეთში მცხოვრებ ქართველებს.

ისევ ჩვენს ინიციატივას დავუბრუნდები და კიდევ რამდენიმე მიზეზს დაგისახელებთ იმისათვის, თუ რატომ უნდა აიკრძალოს ნაციონალური მოძრაობა. ისეთი ზარალი, როგორიც მაგათ საქართველოს მიაყენეს, ისტორიას არ ახსოვს. მოვიდნენ თუ არა ხელისუფლებაში, მაშინვე ეკლესიას დაუწყეს ბრძოლა. ალბათ ყველას ახსოვს გლდანის ეკლესიის დარბევა. ამის გამკეთებლები არავინ დაუსჯიათ. ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა ამის შემდეგაც გაგრძელდა. ათასნაირი ბინძური ხერხი გამოიყენეს, რომ მისთვის სახელი გაეტეხათ. ისიც კი იკადრეს, რომ სასულიერო პირებს დაუწყეს თვალთვალი, ცდილობდნენ მათ დაშანტაჟებას.

***– სასულიერო პირების თვალთვალზე ბევრი საუბრობს, თუმცა კონკრეტული ფაქტები არავის დაუდია.***

– ეს დადასტურებული ამბავია. ამის შესახებ თავის დროზე, თუ არ ვცდები, ირაკლი ოქრუაშვილმაც ისაუბრა. მესმის, რომ ეკლესიის თემას ცოტა ფრთხილად უნდა მივუდგეთ, მაგრამ ეს ფაქტები აუცილებლად უნდა გამოეძიებინათ. იმის დადგენა მაინც არ იყო რთული, თუ ვინ გასცემდა თვალთვალის დაწესების ბრძანებას. ეს ძალიან კარგად აქვთ დადგენილი, მაგრამ ხელს აფარებენ ნაციონალებს.

ჩვენი პატრიარქის თავგამოდება და სიბრძნე რომ არა, ეკლესიის გარშემო ბევრი ცუდი რამ მოხდებოდა, მაგრამ მან ეს ყველაფერი ააცილა ეკლესიას, რაც იმას არ ნიშნავს, რომ დამნაშავეები არ უნდა დაისაჯონ.

გარდა იმისა, რომ რელიგიას დაუწყეს ბრძოლა, ბავშვებს განათლების უფლება წაართვეს. ისეთი პროგრამა შემოიღეს, ბავშვი ვერანაირ განათლებას ვერ იღებს.

უამრავ ადამიანს წაართვეს ქონება და ბიზნესი. ამან სამუშაო ადგილების შემცირება გამოიწვია. ათასობით ადამიანი გაყარეს საჯარო სამსახურებიდან და მათ ადგილას თავიანთი აქტივისტები დაასაქმეს. სააკაშვილმა მოსვლისთანავე განაცხადა, 40 წელს ზევით სამსახურში არავინ მჭირდებაო და ძალიან ბევრ ადამიანს ყოველგვარი პერსპექტივა მოუსპეს. ხალხი ულუკმაპუროდ დარჩა და სამუშაოს საძებნელად საზღვარგარეთ წავიდნენ. მათ დროს ათეულობით ათასი ადამიანი გადაიხვეწა ქვეყნიდან. სამაგიეროდ, საქართველოში სხვა ქვეყნის მოქალაქეები ჩამოიყვანეს. ყველასთვის ცნობილია, რომ სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა 40.000 თურქს მისცა. ესეც არ იკმარა და აჭარაში მიწების დიდი ნაწილი თურქებზე გაყიდა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ეს მიწები მათ მფლობელობაში ველარ გადავიდა. თურქებს დიდი ფული აქვთ გადახდილი და სააკაშვილს ემუქრებიან. ნაციონალები ასე გამწარებით ამიტომ ცდილობენ ხელისუფლებაში დაბრუნებას.

აღარაფერს ვამბობ იმ წამებებსა და უბედურებებზე, რომელიც მათ ჩაიდინეს. ყველაზე საშინელი და უპატიებელი ისაა, რომ მამაკაცების გაუპატიურების ფაქტები გადაღებული აქვთ და, დიდი ალბათობით, ამ ხალხს ახლაც აშანტაჟებენ. ნაციონალებმა ეს ფირები დატოვეს და „ქართული ოცნებისთვის“ ყველაფერი ცნობილია, მაგრამ არავინ დაუსჯიათ. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ მათი მფარველობით არიან დაკავებული, რასაც არჩევნებზე წერტილი დაესმება.


**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ტერორისტი 9 საათი თავს ნაყინის გამყიდველად ასაღებდა

## ნიცის ტერაქტის ანატომია

სოსო ზაალიშვილი

**პარიზი, ბრიუსელი, ბაღდადი, ორლანდო, სტამბული, დაკა, იერუსალიმი, ახლა უკვე ნიცა. ეს იმ ქალაქების არასრული სიაა, სადაც 2015-16 წლებში მშვიდობიანი მოქალაქეების მასობრივი და უსასტიკესი მკვლელობები მოხდა.**



ამ მკვლელობებს ტერორისტული აქტის კვალიფიკაცია მიეცა. ყველა ტერაქტის უკან ისლამური სახელმწიფოს ჯიჰადისტები დგანან.

ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნების დაზვერვის და უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ მილიონზე მეტ დევნილთან ერთად, რომელიც ევროპაში შევიდა ახლო აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთ აფრიკის ტერიტორიიდან, 3-8 ათასამდე ისლამური სახელმწიფოს მებრძოლია შესული.

რამდენიმე დღის წინ საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა მადლობაც კი გადაუხადა საფრანგეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელებს ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ექსცესების გარეშე ჩატარებისთვის. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ჯიჰადისტები არც



აპირებდნენ ამ დროისთვის აქტიურობას.

პარიზისა და ბრიუსელის ტერაქტების შემდეგ ევროპაში თითქოს გამკაცრდა უსაფრთხოების ზომები, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, არასაკმარისად.

ისლამური სახელმწიფოს ამირები აფრთხილებდნენ და აფრთხილებენ ევროპის ლიდერებს, რომ ზაფხულის პერიოდში ევროპის ტურისტულ ზონებზე მიიტანენ იერიშს. მათი აზრით, ევროპის ტურისტულ ინფრასტრუქტურაზე შეტევა აშკარა გზავნილი იქნება ისლამური სახელმწიფოს მებრძოლების წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნის ლიდერებისთვის, რათა მათ შეაჩერონ აქტიური საბრძოლო მოქმედებები ახლო აღმოსავლეთში.

საფრანგეთის რესპუბლიკა, ისევე, როგორც ბელგიის სამეფო, მეტად ლოიალურია ისლამის მიმდევრებისადმი. მიუხედავად ამისა, სწორედ ეს ორი ქვეყანა იქნა არჩეული ჯიჰადისტების შეტევის ობიექტებად.

* * *

სატვირთო მანქანას, რომელმაც საფრანგეთის ეროვნულ დღესასწაულზე, ბასტილიის გათავისუფლების დღეს, 80-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და 100-მდე დააშავა, 31 წლის ტუნისელი არაბი მართავდა. ის ადგილობრივი პოლიციის მიერ იქნა მოკლული. სატვირთო მანქანის მიმართულებით 30 ტყვია იქნა ნასროლი.

ტერაქტიდან რამდენიმე ხანში ისლამურის სახელმწიფოს ტვიტერის ექაუნთზე გამოჩნდა წარწერა, რომლითაც ეს ტერორისტული ორგანიზაცია თავის თავზე იღებდა მომხდარი ტერაქტის ორგანიზებას.

— ბასტილიის გათავისუფლების დღე ახლა ჩვენი დღესასწაულია, — ნათქვამია გზავნილში.

საფრანგეთის მთავრობა თავიდან ცდილობდა, არ გაეხმაურებინა ჯიჰადისტების კავშირი მომხდარ შემთხვევასთან. ტელევიზია ამ ფაქტს საშინელ კრიმინალურ შემთხვევას უწოდებდა, მაგრამ როდესაც საკურორტო ქალაქის ქუჩებში ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრი და ანტიტერორისტული ცენტრის მებრძოლები გამოჩნდნენ, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა.

15 ივლისს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნიცის ტერაქტის შემსრულებელს მეუღლე და 3 შვილი ჰყავს.

თავდამსხმელი განსაკუთრებული რელიგიურობით არ გამოირჩეოდა. მეზობლების ცნობით, ის მუსლიმებისთვის წმინდა თვეს რამადანს, მარხვას სრულად არ იცავდა.

ფრანგულმა მედიამ მისი ვინაობაც დაასახელა — მუჰამედ ლაჰუაიეჯ ბუჰლელი.

მის საცხოვრებელ სახლში, ნიცაში პოლიციამ ჩხრეკა ჩაატარა.

ტერაქტამდე რამდენიმე დღით ადრე ტერორისტმა სატვირთო მანქანა იქირავა. დეილი მეილი იუწყება, რომ ტერორისტი თავდასხმის განხორციელებამდე, ნიცის სანაპიროს მიმდებარე ქუჩაზე სატვირთო მანქანით 9 საათის განმავლობაში იდგა.

მასთან მისულ სამართალდამცველებს თავდამსხმელმა განუცხადა, რომ ნაყინის გამყიდველია და მანქანაში სწორედ ეს პროდუქცია აქვს. ამის გამო პოლიციამ მანქანის შემოწმებისგან თავი შეიკავა, თუმცა, როიტერის ცნობით, აღნიშნული პირი დანაშაულებრივი ქმედებების გამო პოლიციისთვის ადრეც იყო ცნობილი.

თვითმხილველების თქმით, თავდასხმის დროს ტერორისტი ისლამურ ლოზუნგებს სკანდირებდა, თუმცა დაღუპულთა შორის ბევრი არაბი და მუსლიმია. ირანელი ჟურნალისტის ცნობით, ბევრ დაღუპულს ტრადიციული მუსლიმური ტანისამოსი ეცვა.

* * *

ახლო აღმოსავლეთში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მომხდარმა მოვლენებმა, არაბულმა გაზაფხულმა, ადგილობრივი ავტორიტარული რეჟიმების ლიდერების ცვლილებებმა და შეცვლის მცდელობებმა უკუშედეგი მოიტანა. არაბული სამყარო არ აღმოჩნდა მზად კლასიკური ტიპის ევროპული დემოკრატიისთვის, რამაც შედეგად მუსლიმი ტერორისტებისა და ისლამური ტერორისტული ორგანიზაციებისთვის საუკეთესო პირობები შექმნა.

ამას ისიც ემატება, რომ უსაფრთხოების ძველი სისტემა ველარ მუშაობს თანამედროვე მიგრაციულ პროცესებთან. ერთია, როდესაც ქვეყანაში რამდენიმე ათეული ან ასეული ათასი მიგრანტი შედის, ვთქვათ, ამავე ქვეყნის ძველი კოლონიიდან, და მეორე, როდესაც აბსოლუტურად უცხო კულტურის, წესწყობილებისა და ზნე-ჩვეულებების რამდენიმე მილიონ ადამიანს უხსნი საზღვარს და ცდილობ, მათ საკუთარ ტრადიციებზე უარი ათქმევინო. ეს აუცილებელ კონფლიქტს იწვევს, რომელიც შემდგომში ძალადობად იქცევა.

თანამედროვე პირობებში არავითარ პრობლემას წარმოადგენს ყალბი, მაგრამ მაღალ დონეზე შესრულებული საიდენტიფიკაციო დოკუმენტების შექმნა. და თან იმ შემთხვევაში, როდესაც ტერორისტულ ორგანიზაციას სახელმწიფო ხელშეწყობა გააჩნია.

მოჯაჰედთა უმრავლესობა არაბული გაზაფხულის გარიჟრაჟზე ახლო აღმოსავლეთში თურქეთიდან მოხვდა. თურქეთის მთავრობა ხელს უწყობდა მათ მომზადებასა და გადაადგილებას თავის ტერიტორიაზე. ასევე იყო ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე ჯიჰადის დროს 1994-96 წლებში და შემდგომაც. თურქეთი პრაქტიკულად ჯიჰადისტების ბაზა იყო.

ისლამურ სახელმწიფოსა და ქურთულ შეიარაღებულ ფორმირებებს შორის არაერთი შეტაკების დროს, განსაკუთრებით თურქეთი-სირიის სასაზღვრო ქალაქ კობანისთვის ბრძოლებში, ქურთულ და ზოგიერთი დასავლური საინფორმაციო წყაროს თანახმად, ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებთან ერთად, თურქეთის რეგულარული ჯარის ნაწილები იღებდნენ მონაწილეობას.

თურქეთის ახლანდელი პრეზიდენტის გუნდში განხეთქილებას პრემიერ-მინისტრ აჰმედ დავითოღლუს ხელისუფლებიდან და მმართველი პარტიიდან ჩამოცილება მოჰყვა. დავითოღლუ გახლდათ დიდი პანისლამური თურქეთის შექმნის იდეის ავტორი და განმხორციელებელი.

მისი პოლიტიკური პარტნიორი ამ საკითხში ეგვიპტური ტერორისტული მოძრაობის, მუსლიმან ძმათა ლიდერი მუჰამედ ბადი გახლდათ. ამ ადამიანს ეგვიპტის სასამართლომ ტერორისტული საქმიანობისა და ტერორისტებთან კავშირის გამო სიკვდილი მიუსაჯა. ექსპერტების აზრით, თურქეთის პრეზიდენტსა და პრემიერს შორის დაპირისპირების მიზეზი ერდოღანის შვილის მიერ ისლამურ სახელმწიფოს წარმომადგენლებთან წამოწყებული ნავთობის ბიზნესი გახლდათ.



დავითოღლუ ამ თანხების თურქეთის ინტერესების გასატარებლად გამოყენებას ითხოვდა, ბილალ ერდოღანი კი საკუთარი მიზნებისთვის ხარჯავდა.

ახმედ დავითოღლუ ითვლება ევროპაში ახლო აღმოსავლეთიდან რამდენიმე მილიონი დევნილის შეშვების პროექტის ავტორადაც. ის ამ გზით აპირებდა შანტაჟი მოეწყო ევროპელი ლიდერებისთვის და ფინანსური სახსრები მოეძიებინა თურქეთის უფრო მეტი მოდერნიზებისთვის.

თურქეთში, ათათურქის აეროპორტში მომხდარ ტერორისტულ აქტს ექსპერტები სწორედ დავითოღლუსა და ერდოღანის კლანებს შორის დაპირისპირებას უკავშირებენ. შეიძლება ითქვას, რომ ისლამურმა სახელმწიფომ გააფრთხილა ერდოღანის ხელისუფლება, არ შეცვალოს დავითოღლუს კურსი. წინააღმდეგ შემთხვევაში ტერაქტები თურქეთის სხვა ტერიტორიაზეც განხორციელდება.

* * *

ტერორიზმის ექსპერტთა აზრით, ტერორიზმის თავიდან აცილებისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადასადგმელი.

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი პოტენციური ტერორისტის იდენტიფიკაციაა, ანუ ინფორმაციის მოპოვება პოტენციური ტერორისტის შესახებ. ამის გაკეთება შეუძლებელია სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურების თანამშრომლობის გარეშე, სპეცსამსახურების თანამშრომლობა კი შეუძლებელია ქვეყნებს შორის ნდობის გარეშე.

მეორე პრობლემა ტერორისტულ ორგანიზაციებში ცოცხალი აგენტების არარსებობაა. დასავლური დაზვერვის სამსახურები მეტწილად ელექტრონულ დაზვერვასა და ინფორმაციის მოპოვების და დამუშავების ელექტრონულ მეთოდებზეა გადასული 1995 წლიდან. ამან გამოიწვია ვაკუუმი სპეცსამსახურების მოქმედებაში. ელექტრონულ დაზვერვას გააჩნია ხიბლი და დადებითი ასპექტები, მაგრამ აგენტურული ქსელისგან მოპოვებული ინფორმაციაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ესაა ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც საფრანგეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა შექმნას დიდი ანტიტერორისტული ცენტრი ცოცხალი აგენტებით ტერორისტულ ორგანიზაციებში.

* * *

საქართველო, მას შემდეგ, რაც თურქეთი არცთუ კეთილგანწყობით ექცევა მუსლიმ ჯიჰადისტებს, კარგავს ჯიჰადისტების გადაადგილების დერეფნის ფუნქციას. აქედან გამომდინარე, სტაბილურობა ამ ქვეყანაში აღარ უნდა შედიოდეს მათ ინტერესში.

ჯერ 2008 წელს საქართველოს ძალისმიერი სტრუქტურების წარმომადგენლები, რომელთა ნაწილიც კვლავ მსახურობს საქართველოს უშიშროებასა და სამხედრო დაზვერვაში, დაკავებული იყვნენ მოჯაჰედთა შემოყვანით, დაბინავებით, წვრთნითა და აღჭურვით და შემდგომში თურქეთში გადაყვანით, რათა მათი კეთილგანწყობა მოეპოვებინათ, ხოლო რუსეთთან სავარაუდო ომის შემთხვევაში, ჩრდილოკავკასიელი და არა მარტო მოჯაჰედები გამოეყენებინათ ამ დაპირისპირებაში. ბევრი მათგანი ამ საქმიანობაში ფინანსურ საზღაურსაც იღებდა.

საქართველოს პრობლემას ის წარმოადგენს, რომ ფინანსური ინტერესები ტერორისტებსა და ძალისმიერი სტრუქტურების წარმომადგენლებს შორის ფატალური შეიძლება აღმოჩნდეს საქართველოს სახელმწიფოსათვის.



ისლამური სახელმწიფო რუს ტურისტებსაც ემუქრება. ისინი კი წელს მრავლადაა საქართველოში. ალბათ დადგა დრო, რომ საქართველოს სახელმწიფომ გადახედოს თავის პრიორიტეტებს და მთავარ პრიორიტეტად ტერორიზმთან არა პასიური, არამედ აქტიური ბრძოლის ტაქტიკა აირჩიოს.

# საქართველო სოფელმა უნდა გადაარჩინოს!..

## სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინება განხილული უნდა იქნეს, როგორც უმნიშვნელოვანესი სოციალურ-პოლიტიკური პროგრამა


მურმან ქურიძე

საქართველოში კვების პროდუქტების თვითუზრუნველყოფის დონე საგანგაშოდ დაბალია. დღეისათვის შიდა ბაზარზე სასურსათო პროდუქციის 80%-მდე იმპორტულია, რაც დიდ რისკებთანაა დაკავშირებული და საფრთხეს უქმნის ქვეყნის მომავალს. ბოლო ათეული წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობის დარგის სისტემური კრიზისი რომ არა, საქართველოს აქვს რეალური შესაძლებლობა და პოტენციალი, არა მარტო საკუთარი მოსახლეობა გამოკვებოს, არამედ მნიშვნელოვნად გაზარდოს ექსპორტი. აქედან გამომდინარე, რეალურად უნდა იქნეს გააზრებული ამ დარგის სისტემური კრიზისიდან გამოსვლისა და აღორძინების პროგრამა.

საჭიროა მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული და რეალობის ადეკვატური ახალი აგრარული პოლიტიკა, რომლის ფორმირება-განხორციელებაში უნდა მონაწილეობდნენ როგორც სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოებები, ასევე სამეცნიერო სტრუქტურები.

სოფლის მეურნეობისა და კვებისა და მრეწველობის სფეროში მომუშავე კერძო და სახელმწიფო კომპანიების საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბაზაზე **უნდა შეიქმნას სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო,** მასვე უნდა დაევალოს ქართული სოფლის აღორძინების კომპლექსური პროგრამის კურირება-მართვა.

მიგვაჩნია, რომ 2020 წლისათვის საქართველოში სასაქონლო ხორბლით მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი რეალურად 35-40%-მდე შეიძლება გაიზარდოს (დღეს არსებული 12%-ის სანაცვლოდ). ჩაიზე, ბოსტნეულ-ბაღჩეულზე, ხილზე, ციტრუსებზე, თხილზე, თაფლზე, კარტოფილსა და კვერცხზე მოსახლეობის მოთხოვნილება სრულად დაკმაყოფილდეს. ქვეყანაში ყველა პირობა არსებობს – რძის, ხორცის, თევზის პროდუქტების, შაქრის, მცენარეული ზეთის, ეთერზეთებისა და აბრეშუმის წარმოების, მეცხოველეობის განვითარებისათვის. უნდა შეიქმნას ინდუსტრია და დასაქმდეს მოსახლეობა. ამ ამოცანების გადაწყვეტა შესაძლებელია ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით, როგორც ინდუსტრიულ წარმოებაში, ისე ოჯახურ მეურნეობებში. უნდა მოხდეს სურსათის იმპორტის ადგილობრივი წარმოებით რეალური ჩანაცვლება და ექსპორტის ზრდა. ეს დადებითად აისახება საგადამხდელო ბალანსსა და ფულად-საკრედიტო სისტემაზე. მათი რეალიზაციიდან მიღებული სავალუტო რესურსები გამოყენებულ უნდა იქნეს საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელი დარგების მოდერნიზაციისათვის. საქართველოს ექსპორტის პოტენციალის 80%-მდე აგრარულ დარგზეა განსაზღვრული, **რაზეც უშუალოდ ლარის კურსია დამოკიდებული.**

საქართველოში მიწის სავარგულების სტრატეგიული და ხარისხობრივ-კადასტრული აღრიცხვა მოუწესრიგებელია, არ ხორციელდება მიწის სავარგულების დაცვისა და ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებები. გაძლიერდა მეორადი დაჭაობებისა და გაუდაბნოების პროცესი. **აგრარული ქვეყნის უპირველესი ეროვნული სიმდიდრის – მიწისა და წყლის დაცვა და მისი რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის მოწესრიგება შეუძლებელი იქნება მისი მართვის სახელმწიფო სტრუქტურის შექმნის გარეშე.** სასწრაფოდაა მისაღები მიწის კანონმდებლობაში გადაუდებელი ცვლილებების შეტანის კანონპროექტები, რათა ჩამოყალიბდეს ცივილიზებული ურთიერთობები მიწასთან დაკავშირებით და თავიდან იქნეს აცილებული მიწის განუკითხავად ყიდვა-გაყიდვის პროცესი. **საბოლოოდ უნდა შეწყდეს უცხოელ მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების მიყიდვა და მიღებულ იქნეს მიწა-წყლის დაცვის ყოვლისმომცველი ორგანული კანონი.**

მიწების პრივატიზაციისას დაშვებული შეცდომების შედეგად მწვავედ დგას მიწის კონსოლიდაციის პრობლემა, რომლის გადაწყვეტა სისტემურ მიდგომას მოითხოვს. კოოპერაციის განვითარებასთან ერთად მიზანშეწონილია სხვა ალტერნატიული ფორმების გამოყენებაც. **უნდა შეიქმნას სახელმწიფო მიწის ფონდი,** რომელსაც ექნება სათანადო ფინანსური რესურსები, რათა შეიძინოს მიტოვებული მიწის ფართობები, მოაწესრიგოს იგი ეკონომიკური მიზანშეწონილობით, გაასხვისოს ან იჯარით გასცეს. არ უნდა გამოვრიცხოთ მსხვილი სახელმწიფო-კერძო კოოპერატივების შექმნა, რომელიც ოჯახურ მეურნეობებთან ერთად შეძლებენ მიწის ერთობლივად დამუშავებას, ნედლეულის გადამუშავებას, პროდუქციის რეალიზაციას.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ოჯახური მეურნეობა ტრადიციულად წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განმსაზღვრელ რგოლს, ხელი უნდა შევუწყოთ მის ინტეგრაციას მსხვილ მეურნეობებთან. ეს შეიძლება განხორციელდეს ოჯახური მეურნეობების კოოპერატივებში გაერთიანებით (ნებაყოფლობით), „ფრანჩაიზინგის" სისტემაში მონაწილეობით, ვერტიკალური ინტეგრაციის ისეთ ფორმებში, როგორიცაა: ასოციაციები, სამრეწველო-საფინანსო ჯგუფები, სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრები და სხვა.

რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა, საკრედიტო კავშირების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გათვალისწინებით აუცილებელია, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სერვისცენტრების შესაბამისი სარემონტო ბაზების მომსახურების დონე. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით სისტემის შიგნით შესაქმნელია მობილური მექანიზებული ჯგუფები, რომლებიც მოემსახურება მცირე ნაკვეთებს, ასევე შეასრულებს ზოოვეტერინარულ და მცენარეთა დაცვის სამუშაოებს. საჭიროა ვენახის პლანტაციების ეფექტიანად დაცვის მიზნით სეტყვის საწინააღმდეგო ბადეების შემოღება. ამ მიზნით სახელმწიფომ სპეციალური დაფინანსება უნდა გაუწიოს მეწარმეებს, ფერმერებს. კიდევ უფრო უნდა განვითარდეს აგროდაზღვევის სისტემა.

2020 წლამდე პერიოდის სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამაში უნდა განისაზღვროს არსებული სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია – მშენებლობის, ნიადაგების დაშრობის და მორწყვის ღონისძიებათა კიდევ უფრო დიდი მოცულობით განხორციელების ამოცანა, რომელიც განსაზღვრავს პროდუქციის წარმოების გადიდების კონკრეტული ამოცანის შესრულებას.

მრავალი წლის მცდელობით მიღწეულ იქნა და მთიან და სასაზღვრო ზონების სოფლებში ინვესტირების სტიმულირების მიზნით ახლადშექმნილი სოფლის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები გაათავისუფლეს ყოველგვარი გადასახადისაგან ათი წლის ვადით. **დანარჩენ სოფლებშიც ამ მიზნით შექმნილი გადამამუშავებელი საწარმოებიც ხუთი წლით უნდა გათავისუფლდნენ ყოველგვარი გადასახადისაგან** (გარდა კომუნალური გადასახადებისა).

ადგილობრივი მწარმოებლების დასაცავად სუბსიდირებული იმპორტული პროდუქციისაგან, რომელიც მთლიანად გათავისუფლებულია საკომპენსაციო მოსაკრებლებისაგან, **დაუყონებლივ შემოსაღებია ანტიდემპინგური კანონმდებლობა.**

სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ამაღლების, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით ეტაპობრივად **უნდა აღდგეს დანაშაულებრივად გაუქმებული სოფლის მეურნეობის პროფილის 14 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი,** მათი ყოფილი ექსპერიმენტალური ბაზები, სანაშენე და სანერგე მეურნეობების ფართო ქსელი. ახალი ამოცანების შესაბამისად უნდა განისაზღვროს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის როლი და ფუნქციები თავისი მეცნიერული პოტენციალის გამოყენებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აგრარულ სფეროში მომუშავეთა განათლების ამაღლებას, რამდენადაც ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი პრობლემა უცოდინრობის დაძლევაა.

**საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს, რომელიც თაღლითური გზითაა მიტაცებული, უნდა აღუდგეს სახელმწიფო სტატუსი** და დაეკისროს სოფლის მეურნეობისათვის კადრების მომზადების კოორდინაცია ქვეყნის მასშტაბით. დაუყონებლივ უნდა დაისვას საკითხი სახელმწიფოსათვის მისი დაბრუნების შესახებ.

რეგიონების საწარმოო თავისებურებათა გათვალისწინებით, ადგილობრივი თვითმმართველობის სათანადო ფინანსური უზრუნველყოფით დასაჩქარებელია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, პირველ რიგში სამომხმარებლო ტიპის კოოპერატივების ჩამოყალიბება. უნდა შეიქმნას სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დასაჩქარებელია შეიქმნას თანამედროვე, ბუნებრივი ენერგიის გამოყენებით მომუშავე სასათბურე, სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობები.

**უნდა გაიზარდოს და გაფართოვდეს იაფი აგრარული კრედიტი.** გაიზარდოს კრედიტზე ხელმისაწვდომობა საგირავო ქონების სხვადასხვა პირობით ჩანაცვლების გზით.

ხელისუფლებამ უმკაცრესი ზომები უნდა გაატაროს გენმოდიფიცირებული პროდუქციის ჩვენ ქვეყანაში შემოღწევის წინააღმდეგ. **საქართველო უნდა იქცეს ასეთი სახის პროდუქციისაგან თავისუფალ ზონად,** რის შედეგადაც საქართველოში წარმოებულ პროდუქციას მაღალი ფასი დაედება. ბიოპროდუქტების წარმოებასა და ექსპორტთან ერთად, ეს საქართველოს სოფლის მეურნეობას ყველაზე მოთხოვნად დარგად აქცევს და ხელს შეუწყობს ეროვნული პროდუქციის წარმოების განვითარებას, ტურიზმის მასშტაბების მნიშვნელოვან ზრდას და, **რაც მთავარია, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას.**

სოფლის მეურნეობის მეცნიერ-მუშაკთა და დარგის პრაქტიკოს-პროფესიონალთა, ყოფილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომელთა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებისა და დარგის ეკონომისტების სამივე თაობის წარმომადგენლებმა დავაფუძნეთ **სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების კავშირი.** კავშირის მიზნები და ამოცანები გამომდინარეობს არსებული გამოწვევებიდან. ჩვენი უმთავრესი მიზანია, უშუალო აქტიური პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი მონაწილეობა მივიღოთ აგრარულ სფეროში დაგროვილი პრობლემების გადაჭრაში.

ჩვენი სოფლის მეურნეობა განსაკუთრებით დაზარალდა წინა ხელისუფლების პერიოდში. მართალია, უკანასკნელ წლებში იგრძნობა მთავრობის მცდელობა მის აღსადგენად, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ჩვენი კავშირის მიზანია, მოამზადოს კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარებისა და ეფექტიანობის ამაღლების პრობლემებზე. **უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მომავალი წლიდან დარგის დაფინანსება და სუბსიდირება დაუყონებლივ გაორმაგდეს და შემდგომ ყოველწლიურად პროგრესიულად გაიზარდოს.**

**საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინება განხილულ უნდა იქნეს, როგორც უმნიშვნელოვანესი სოციალურ-პოლიტიკური პროგრამა,** რომელიც გააუმჯობესებს უმძიმეს დემოგრაფიულ ვითარებას. მისი წარმატებული განხორციელება შეაჩერებს სამუშაო ძალის მიგრაციას ქვეყნიდან, გააჩენს სოფლის მცხოვრებთა განვითარების რეალურ საფუძველს და დააჩქარებს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას.

ჩვენ ინტენსიურად ვითანამშრომლებთ პარლამენტის აგრარულ კომიტეტთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ფერმერებთან, მეწარმეებთან, ამ დარგით დაინტერესებულ პირებთან, უშუალოდ სოფლის მოსახლეობასთან და იმ ეროვნულ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, რომლებიც ჩვენს პროგრამას რეალურად გაითავისებენ და დაუჭერენ მხარს.

კავშირის წევრთა კვალიფიკაციისა და პოტენციალის გათვალისწინებით, დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი კავშირის მიერ შემუშავებული პროგრამის გამზიარებელი და მისი მოსახლეობამდე მიმტანი პოლიტიკური პარტია არა მარტო სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის, არამედ ქალაქის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მხარდაჭერას მოიპოვებს.

**სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე მურმან ქურიძე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.**
**მობ. 599 93 40 40,**
**E-mail-murman. Kuridze@gmail.com**

# ჯანყარაშვილი კორძაიას წინააღმდეგ

იასე მაჩაბელი

15 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ასმათ კოხრეიძემ განიხილა საქართველოს შინაგან საქმეთა გენერალური ინსპექციის ყოფილ უფროს ზვიად ჯანყარაშვილის სარჩელი ჟურნალისტ ირაკლი კორძაიას წინააღმდეგ.

მოსარჩელე ჯანყარაშვილი მოითხოვს ჟურნალისტის მიერ შარშან გავრცელებული ვარაუდების უარყოფას, რომელთა თანახმადაც, ზვიად ჯანყარაშვილს გააჩნდა საერთო ბიზნესინტერესები დღეს უკვე პროკურატურის მიერ ბრალდებულ გიორგი უდესიანთან.

ჟურნალისტი გამოთქვამდა მოსაზრებას იმის თაობაზეც, რომ ჯანყარაშვილი ხელოვნურად აყოვნებდა ბიზნესმენ ბესიკ ხარძიანის საქმის გამოძიებას.

ჯანყარაშვილის ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ სხდომაზე ორი შუამდგომლობა დააყენა. მას სასამართლოსგან დაევალა, მომავალი სხდომისთვის წარადგინოს შუამდგომლობების წარდგენის საპატიო მიზეზი.



მოსამართლე ასმათ კოხრეიძისა და ადვოკატ დიმიტრი გაბუნიას მხრიდან შემოთავაზებული იყო მორიგება, თუმცა მისი პირობები სასამართლო სხდომაზე არ დაკონკრეტებულა.

მოსამართლე კოხრეიძემ მომდევნო სხდომა მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს ჩანიშნა.

ირაკლი კორძაიას უფლებებს სასამართლო-



ში იცავენ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატები გიორგი გოცირიძე და ნიკოლოზ სიმონიშვილი. სასამართლო პროცესს მონიტორინგს უწევს ევროკავშირის საქართველოს მისიის თანამშრომელი.

მიმდინარე წლის 13 ივლისს საერთაშორისო პენ კლუბის სათავო ოფისმა ირაკლი კორძაიას მხარდამჭერი წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველოს ხელისუფლებას ჟურნალისტის სამართლებრივი დევნის შეწყვეტისკენ მოუწოდებს.

– გამოხატეთ თქვენი შეშფოთება ირაკლი კორძაიას დევნის გამო და მოუწოდეთ საქართველოს მთავრობას, რომ მოუხსნას ყველა ბრალდება (პატივისა და ღირსების შელახვის თაობაზე) კორძაიას, ასევე, ყველა სხვა ბრალდება, რომლებიც დაკავშირებულია მისი გამოხატვის თავისუფლების უფლებასთან და ხელს უშლის, განახორციელოს პროფესიული საქმიანობა.

მოუწოდეთ მთავრობას, რომ საგამოძიებო ჟურნალისტებს მისცენ დაცულობის გარანტია თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას, რომ არ ჰქონდეთ დევნისა და შურისძიების შიში, – ნათქვამია წერილში.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# „თბილისის ძველ უბნებში უცხო სხეულად მოჩანს მშვიდობის ხიდი“



შვეიცარიულ მედიაში გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია თბილისის დათვალიერებით მიღებული შთაბეჭდილებები, საუბარია ძველი ქალაქის არქიტექტურაზე, თბილისის თანამედროვე მდგომარეობაზე და ა.შ.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის ქართულენოვან ვერსიას.

— ძველი თბილისის უბნებისთვის დამახასიათებელია აივანი და ეზოები, რომლებიც მეზობლების შეხვედრისა და ერთმანეთთან საკონტაქტო როლს ასრულებს. ქართული აივნები ხშირადაა წარმოდგენილი ვაზთან ერთად და შუა აზიურ სურათს მოგვაგონებს, — ნათქვამია სტატიაში.

— საქართველო და თბილისი ძველი საქარავნე აბრეშუმის დიდი გზის ცენტრი იყო, აქ უძველესი დროიდან ბევრი რელიგია მშვიდად მეზობლობს: ქრისტიანული ეკლესია, მეჩეთი და სინაგოგა ერთმანეთთან ახლოს არიან განლაგებული. იგრძნობა კულტურის მრავალფეროვნება. ვაჭრობა კონტაქტებს აფართოებს: „როგორ შეიძლება იმ ადამიანთან მტრობა გქონდეს, ვისთანაც საქონელს ყიდულობ?“ — ამბობს თბილისელი გიორგი.

— საქართველო ევროპული ქრისტიანული სამყაროსთვის მის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სასაზღვრო რეგიონია. ამ თვალსაზრისით საქართველო არა მხოლოდ სასაზღვროა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, არამედ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორისაც: რუსეთი და ბიზანტია, რუსეთი და სპარსეთი, არაბეთი ყოველთვის ცდილობდნენ, აქ თავიანთი ინტერესები გაეტარებინათ, — აღნიშნავს ავტორი.

პუბლიკაციაში ვრცლადაა აღწერილი თბილისის მთავარი ქუჩა — რუსთაველის გამზირი, მისი ისტორია, განაშენიანება, არქიტექტურა.

ავტორი ყურადღებას უთმობს მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში მომხდარ ქუჩების რეკონსტრუქციის ფაქტებს და აღნიშნავს, რომ ბევრი ქუჩის შენობების ფასადი განახლდა, თუმცა ის, რაც ფასადების მიღმაა, ცუდ მდგომარეობაშია. შენობები ავარიულ მდგომარეობაშია.

1991 წლიდან, როცა საქართველოში სოციალიზმი დასამარდა და ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, დაიწყო ეკონომიკური კოლაფსი, სამოქალაქო ომი და მაფიოზთა თარეში, ქალაქისთვის არავის აღარ ეცალა. დღეს თბილისის ძველ უბნებში არსებულ სახლებს თუ შეხედავთ, დაინახავთ, რომ მათ „გარდასულ დღეთა ბრწყინვალება“ ჯერ კიდევ შემორჩენილი აქვთ, მაგრამ დღითიდღე „კვდებიან“ — ბათქაშაცვენილები, ფერდაკარგულები, სარკმელჩამსხვრეულები...

დგანან და ელიან ადამიანთა დახმარებას.

***

„ქართული ოცნების“ ლიდერი, მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი მოსახლეობას ეკონომიკურ განვითარებას დაპირდა. მან ბევრი პროექტი დააფინანსა.

მისი საცხოვრებელი სახლი ქალაქის ზემოთ ბორცვზეა გაშენებული და სამთო სადგურს მოგვაგონებს.

ხელისუფლება სტაბილური ეკონომიკური სიტუაციის შექმნას ცდილობს. შემუშავებულია ქალაქის განაშენიანების ახალი გეგმა, თუმცა მას ბევრი აკრიტიკებს.

სააკაშვილის მმართველობის დროს ძველი ქალაქის შენობების რეკონსტრუქციისას ტრადიციულ სამშენებლო მასალებს (აგურს და ხეს) თანამედროვე რკინა-ბეტონით ცვლიდნენ. დღესაც ძველ უბნებში თანამედროვე მინა-ბეტონის მრავალსართულიანი სახლები შენდება, რაც არაბულ საემიროებს მოგვაგონებს.

ქალაქის ძველ უბნებში უცხო სხეულად მოჩანს „მშვიდობის ხიდი“ და სხვა ნაგებობები. ხშირად ირღვევა დამცავი ზონის მოთხოვნები.

— დღეს საქართველოსთვის ყველაზე აქტუალურ თემას ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება წარმოადგენს, რომელიც პრობლემატურია. ქართველები, როგორც ქრისტიანული ქვეყნის წარმომადგენლები, თავს დასავლეთს მიაკუთვნებენ, თუმცა ზოგიერთები ამბობენ, რომ რუსები, ქართველები და სომხები ერთმანეთს ჰგვანან და მათ ერთი ბედი აერთიანებთ, — ნათქვამია სტატიაში.

პუბლიკაციის დასასრულს გამოხატულია იმედი, რომ საქართველოს და თბილისს მეტი ტურისტი ეწვევა, მოხსენიებულია ჯონ სტეინბეკის თბილისში ყოფნის ფაქტიც და მისი შთაბეჭდილება.

— თბილისში ჩვენ უცხოელებად არ ვითვლებოდით, აქ ჩვენ თავს საკუთარ სახლში ვგრძნობდით, — ამბობდა ამერიკელი მწერალი.

**ნიუსპრესი**

## მარტინ შულცი ბრიტანეთის მინისტრთა ახალ კაბინეტს აკრიტიკებს



ევროპარლამენტის თავმჯდომარე მარტინ შულცმა ბრიტანეთის ახალი მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა გააკრიტიკა.

მან აღნიშნა, რომ ახალი მთავრობა არა იმდენად ქვეყნის ინტერესებს, არამედ კონსერვატორული პარტიის ერთიანობის შენარჩუნებას ემსახურება.

— ჩვენ, რასაკვირველია, ახალ მთავრობასთან მჭიდროდ ვითანამშრომლებთ, მაგრამ საეჭვოა, რომ მეორე მხრიდან პრობლემების მოგვარების სურვილი იყოს, — თქვა შულცმა.

## დონალდ ტრამპმა ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატი დაასახელა



აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა დონალდ ტრამპმა დაასახელა პიროვნება, რომელიც მისი გამარჯვების შემთხვევაში ვიცეპრეზიდენტის პოსტს დაიკავებს. ეს ინდიანის შტატის გუბერნატორი მაიკ პენსია.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ ტრამპმა მართებული არჩევანი გააკეთა.

პენსი გამოცდილი პოლიტიკოსია. ის რესპუბლიკურ პარტიაში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს, თავად ტრამპს კი ამ პარტიის ხელმძღვანელობასთან ფრიად დაძაბული ურთიერთობები აქვს.

**ნ. თ.**

## გაერო: დონბასში სრულმა ქაოსმა დაისადგურა



გაეროს ექსპერტების მონაცემებით, დონბასში სრულმა ქაოსმა და გაურკვევლობამ დაისადგურა. ძარცვა-გლეჯა, ადამიანთა გატაცება, მკვლელობები ჩვეულებრივ ამბად იქცა. მხოლოდ უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში 870 ადამიანია გაუჩინარებული.

— მკვლელობებისა და ძალადობისთვის პასუხს არავინ აგებს, — ამტკიცებენ გაეროს ექსპერტები.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ განაცხადა, რომ ასეთ ვითარებაში არჩევნების ჩატარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მან გამოთქვა იმედი, რომ უახლოეს მომავალში ვითარება გამოსწორდება.

— მე ოპტიმისტი ვარ! ვიმედოვნებ, რომ ამ წლის ბოლომდე მდგომარეობა გამოსწორდება და დონბასში შეიქმნება გარემო ნორმალური დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად, — თქვა ქერიმ.

**ნ. თ.**

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**იყიდება**

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

**მკურნალობა**

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ — ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ — ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ — მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ — წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება — მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45. სერთიფიკატი №53.

●სიგარეტის მწეველობაზე თავის დანებება მარტივად, ნერვული დაძაბვის, ფილტვების გაწმენდის ხარჯზე, ნიკოტინისგან დამოკიდებულების მოხსნა მცენარეული, უსაფრთხო, მაღალშედეგიანი პარასამკურნალო საშუალებით, სრულიად განსაკუთრებული შედეგიანი პროდუქტია ფიტოთერაპიაში — გარანტირებული შედეგით, ექსკლუზიურად მხოლოდ ჩვენთან. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# საქართველოს ნაკრებს მაიკლ დიქსონი დაემატა

საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის 2017 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის მზადებას იწყებს. საკვალიფიკაციო 31 აგვისტოს, ალბანეთთან მატჩით დაიწყება. ალბანელებთან ერთად შესარჩევ ჯგუფში საქართველოსთან სლოვაკეთი და მონტენეგრო არიან და ფინალური ეტაპის საგზურს პირველ ადგილზე გასული გუნდი მიიღებს, მთლიანობაში კი არსებული 7 შესარჩევი ჯგუფიდან ევრობასკეტ-2017-ის საგზურები 4 საუკეთესო მეორეადგილოსანს ერგება.

31 აგვისტომდე ეროვნულ გუნდს თვენახევრიანი მოსამზადებელი ეტაპი და 10 სპარინგ-მატჩი ელის.

უკვე მე-4 წელია, საქართველოს ნაკრები შეკრებას სლოვენიით იწყებს. ეროვნული ნაკრების სლოვენიური შეკრება 3 აგვისტომდე გაგრძელდება. საქართველო პირველ ამხანაგურ მატჩს პოდჩეტრტეკში, პორტუგალიასთან 2 აგვისტოს ჩაატარებს, რის შემდეგაც მოსკოვში გადაინაცვლებს და 5-ში ბელარუსს, ხოლო 6 აგვისტოს რუსეთს დაუპირისპირდება.

მოსკოვიდან საქართველოს ნაკრები საქართველოში დაბრუნდება და 12-14 აგვისტოს თბილისის მერიის ტრადიციულ თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. საქართველოსთან ერთად ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ ჰოლანდიის, უკრაინისა და რუსეთის ნაკრებები.



ილიას ზუროსის გუნდს საკმაოდ კარგი სპარინგი ელის 18-19 აგვისტოს რუმინეთთან, რომელიც 2017 წლის ევრობასკეტის ოთხიდან ერთ-ერთი მასპინძელია. რუმინეთის დედაქალაქიდან ჩვენი ნაკრები პოლონეთში გადაინაცვლებს, სადაც 24-25 აგვისტოს საერთაშორისო ტურნირი გაიმართება. ტურნირის ფორმატის თანახმად ნახევარფინალების შემდეგ ფინალი და მატჩი მესამე ადგილისთვის გაიმართება. საქართველოს ნაკრები პირველ შეხვედრაში, ანუ ნახევარფინალში მასპინძელ პოლონეთს შეხვდება, შემდეგ კი, შედეგიდან გამომდინარე, ან ფინალს, ანაც მესამე ადგილისთვის მატჩს ითამაშებს. მეორე ნახევარფინალურ წყვილში შვედეთი ბელგიას დაუპირისპირდება.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ცვლილებები განხორციელდა. ტრავმის გამო გუნდს გამოაკლდა ლაშა გამყრელიძე, რომელიც ბ ნაკრების წევრმა ბექა წივწივაძემ ჩაანაცვლა. ტრავმის გამო ვერ ვარჯიშობს მანუჩარ მარკოიშვილი, რომელიც მკურნალობის გასაგრძელებლად თბილისში დარჩება. სლოვენიაში მის მაგივრად ასევე ბ ნაკრების წევრი კახა ჯინჭარაძე გაემგზავრება.

სლოვენიაში არ მიემგზავრება 4-წლიანი პაუზის შემდეგ ნაკრებში კვლავ გამოძახებული ნიკოლოზ ცქიტიშვილიც — მის ნაცვლად ბ ნაკრების ფორვარდი ბექა ბექაური იქნება. სლოვენიურ შეკრებას გამოტოვებს ზაზა ფაჩულიაც, რომელმაც ნბა-ში გადატვირთული სეზონი ჩაატარა, რამდენიმე დღის წინ კი კონტრაქტი გოლდენ სტეიტთან გააფორმა და ახლაც ამერიკაში იმყოფება. ეროვნული გუნდის კაპიტანი ნაკრებს საქართველოში დაბრუნების შემდეგ შეუერთდება და მონაწილეობას მიიღებს თბილისის მერიის თასზე.

რაც მთავარია, გაირკვა საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული მოთამაშის ვინაობა. აქამდე დასახელებული კანდიდატებიდან შეირჩა ამერიკელი მაიკლ დიქსონი, რომელიც საქართველოში 14 ივლისს ჩამოვიდა და სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა.

ილიას ზუროსის განკარგულებაში იქნებიან:

გიორგი ცინცაძე, მაიკლ დიქსონი, დუდა სანაძე, ბესიკ ლეჟავა, ბექა წივწივაძე, ლუკა ზაქრაძე, ანატოლი ბოისა, კახა ჯინჭარაძე, გიგი გოგობერიშვილი, თორნიკე შენგელია, ვიქტორ სანიკიძე, ბექა ბურჯანაძე, ზაზა ფაჩულია, გიორგი შერმადინი, გიორგი შარაბიძე, ნიკა მეტრეველი, ბექა ბექაური.

# კარლო ანჩელოტი: „ბაიერნი ეძებდა მწვრთნელს, მე — სამუშაოს“

იტალიელმა სპეციალისტმა კარლო ანჩელოტიმ მიუნხენის ბაიერნში მუშაობა კომუნიკაბელურად დაიწყო და პირველი ვრცელი ინტერვიუ გულშემატკივრებს მისცა.

57 წლის სპეციალისტმა მათ ყველა კითხვას ამომწურავად უპასუხა, რომლის ძირითადი ნაწილი მის წარსულ საქმიანობას შეეხებოდა.

***— როგორც ვიცით, ღარიბ ოჯახში გაიზარდეთ და რთული ბავშვობა გქონდათ. რა ისწავლეთ იმ პერიოდში?***

— ფული მართლაც ცოტა გვქონდა, მაგრამ ძალიან თბილ, კარგ და დიდ ოჯახში გავიზარდე. დედაჩემი პარმეზანს (ყველის სახეობაა) აკეთებდა და ყიდდა, რომლის რეცეპტი დღემდე მახსოვს, მამაჩემი კი დღე და ღამე მუშაობდა. ბებიაც და ბაბუაც ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მე და ჩემს დას არაფერი მოგვკლებოდა. ძალიან მშვიდი ცხოვრება იყო და, მიუხედავად პრობლემებისა, ის დრო კარგად მახსენდება.

***— კარიერის დიდი ნაწილი მილანში გაატარეთ. როგორ გრძნობდით თავს უამრავი ვარსკვლავის გარემოცვაში?***

— მილანში გადასასვლელად კარგი დრო შევარჩიე. რაც მთავარია, იქ ყველაფერი მოვიგე, რისი მოგებაც შეიძლებოდა. მართლაც ბრწყინვალე ფეხბურთელებთან მოვხვდი და ეს წარმატებები გასაკვირიც არ იყო. გუნდი ერთ მუშტად იყო შეკრული, წარმატების მთავარი შემოქმედი კი მაინც არიგო საკი გახლდათ, რომელმაც ზუსტად იცოდა, რა უნდოდა თითოეული ფეხბურთელისგან.

***— თქვენი აზრით, რომელი უფრო ძლიერი გუნდია: 90-იანი წლების მილანი თუ პეპ გვარდიოლას შექმნილი ბარსელონა?***

— ძალიან რთული კითხვაა, რადგან ბოლო 20 წელიწადში ფეხბურთი ძალიან შეიცვალა. ვფიქრობ, ბარსელონა უფრო სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობდა, მაგრამ, რომელი გუნდია უფრო ძლიერი, ამის თქმა შეუძლებელია. თამაშის წესებიც სხვაგვარი გახდა და თანამედროვე გუნდები სულ სხვა სტილში თამაშობენ. ჩვენ დროს თამაშგარე მდგომარეობის ხაზი ზემოთ იყო აწეული, რადგან პასიური თამაშგარეს ცნება არ არსებობდა, რაც ფეხბურთელებს სულ სხვა ამოცანების წინაშე გვაყენებდა. მაშინ გოლის გატანა უფრო რთული იყო.

***— 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თქვენ იტალიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბში იყავით და არიგო საკის ეხმარებოდით. რა ისწავლეთ იმ პერიოდში და დაამშვიდეთ თუ არა რობერტო ბაჯო ფინალში გაცუდებული პენალტის შემდეგ?***

— საკი უდიდესი მწვრთნელია და მისგან ბევრი რამ ვისწავლე. იტალიის ნაკრებში 3 წელი გავატარე და ფასდაუდებელი გამოცდილება მივიღე. ასე დაიწყო ჩემი სამწვრთნელო კარიერა, რომელიც წამატებით გაგრძელდა. რაც შეეხება რობერტო ბაჯოს, არაფერი მითქვამს, ან რა იყო სათქმელი. გუნდში ყველაზე კარგად პენალტებს რობერტო ბაჯო და ფრანკო ბარეზი ასრულებდნენ. ბედის ირონიით, სწორედ მათ ვერ გაიტანეს. პენალტების სერია ლატარიაა, სადაც ტექნიკაზე მეტად ფსიქოლოგიური მდგომარეობაა მნიშვნელოვანი.

***— 2 სეზონი იუვენტუსში იმუშავეთ, თუმცა ტურინელ გულშემატკივრებს თავი ვერ შეაყვარეთ. ჩემპიონთა ლიგის 2003 წლის ფინალში თქვენმა მილანმა სწორედ იუვეს მოუგო. ეს თქვენთვის რევანში იყო?***

— იუვენტუსის გულშემატკივრები ჩემ მიმართ კარგად რომ არ იყვნენ განწყობილნი, იმის ბრალია, კარიერის დიდი ნაწილი რომასა და მილანში რომ გავატარე, ეს გუნდები კი სკუდეტოსთვის ბრძოლაში სწორედ მათი კონკურენტები იყვნენ. 1983 წელს რომასთან ერთად მოვიგე სკუდეტო და მაშინ ფანტასტიკურ იუვენტუსს ვაჯობეთ, სადაც პლატინი, ბონეკი, ტარდელი, შირეა და ძოფი თამაშობდნენ. შემდეგ უკვე მილანისა და იუვენტუსის კონკურენციის ჯერი დადგა. 2003 წელს ლიგა პირველად მოვიგე მწვრთნელის რანგში და უბედნიერესი ვიყავი, რევანშზე კი ნამდვილად არ მიფიქრია.

***— მწვრთნელის რანგში ჩემპიონთა ლიგა 3-ჯერ მოიგეთ, სკუდეტო კი — მხოლოდ ერთხელ. რას უნდა მივაწეროთ ასეთი სტატისტიკა?***




— მართლა უცნაური სტატისტიკაა და საწყენია, რომ სკუდეტო მხოლოდ ერთხელ მაქვს მოგებული. 8 წლის განმავლობაში ჩემმა გაწვრთნილმა მილანმა არაერთხელ დაიკავა მე-2 ადგილი, მაგრამ ჩემპიონობამდე ყოველთვის რაღაც გვაკლდებოდა. 1997 წელს პარმასთან ერთად ავიღეთ მე-2 ადგილი და იქაც შეგვეძლო გაჩემპიონება. რას ვიზამთ, ეს ფეხბურთია.

***— როგორ ხსნით 2005 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში ლივერპულთან განცდილ მარცხს და, დრო რომ უკან დაბრუნდეს, რას შეცვლიდით გუნდის თამაშში?***

— ხშირად ვიხსენებ იმ შეხვედრას და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ არაფერს შევცვლიდი. ჩვენ ბრწყინვალედ ვითამაშეთ 114 წუთის განმავლობაში, მეტოქემ კი მხოლოდ 6 წუთი ითამაშა და მოიგო. ჩემი თავკაცობით, მილანმა სამჯერ ითამაშა ჩემპიონთა ლიგის ფინალში, საიდანაც ორი მოვიგეთ, თუმცა არც ერთ შეხვედრაში ისე კარგად არ გვითამაშია, როგორც წაგებულ მატჩში. ფეხბურთი გენიალური სპორტია, თუმცა ხშირად აუხსნელი და ამოუცნობი.

***— შესვენებისას თქვენი ფეხბურთელები უკვე ზეიმობდნენ გამარჯვებას?***

— არა, არა და კიდევ ერთხელ, არა. ასეთი ხმები მეც მომივიდა, მაგრამ სრული სისულელეა და მეტი არაფერი. ძალიან გახარებულები ვიყავით, რადგან პირველი ტაიმი შესანიშნავად ჩავატარეთ და სოლიდური უპირატესობა მოვიპოვეთ, მაგრამ კარგად გვესმოდა, რომ ბრძოლა ჯერ არ იყო დასრულებული.

***— 2009-10 წლების სეზონში თქვენი ჩელსი პრემიერლიგის გამარჯვებული გახდა და ჩემპიონატში 100-ზე მეტი გოლი გაიტანა. რით იყო განპირობებული ეს წარმატება?***

— რაც არ უნდა გააკეთოს მწვრთნელმა, შედეგს მოედანზე ფეხბურთელები დებენ. იმ დროს ჩელსიში უმაღლესი კლასის ფეხბურთელები იყვნენ, რომლებმაც იცოდნენ, რა უნდა ეკეთებინათ მოედანზე. ნიკოლა ანელკა, დიდიე დროგბა, მიხაელ ბალაკი, ფრენკ ლამპარდი და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო...

***— ცნობილია, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში მანჩესტერ იუნაიტედთან განცდილი მარცხის შემდეგ გასახდელში რომან აბრამოვიჩი შემოვიდა. ხომ არ ანერვიულდით იმ მომენტში?***

— ნორმალურია, როდესაც ასეთი მნიშვნელოვანი მატჩის შემდეგ ფეხბურთელებთან გასაუბრება კლუბის პრეზიდენტს სურს. გასახდელში მკვდარი სიჩუმე იყო, რომელიც მე დავარღვიე და რამდენიმე წინადადება ვთქვი.

***— პრემიერლიგის 2010-11 წლების სეზონის ბოლო მატჩი სულ ახალი დასრულებული იყო, როდესაც ჩელსიდან თქვენი გათავისუფლების შესახებ გავრცელდა ინფორმაცია. ნაწყენმა დატოვეთ ლონდონი?***

— არა, რადგან უკვე ვიცოდი, რომ მომდევნო სეზონიდან ჩელსის ახალი მწვრთნელი ეყოლებოდა, ამიტომ ეს ინფორმაცია ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. არ მახსენდება მწვრთნელი, რომელიც ერთხელ მაინც არ გაეთავისუფლებინოთ დაკავებული პოსტიდან და ამიტომ ამაში საწყენი არაფერია.

***— პსჟ-ში თქვენი შეგირდი ზლატან იბრაჰიმოვიჩი იყო, რომელზეც ამბობენ, რომ რთული ხასიათი აქვს.***

— იბრა მხიარული ბიჭია და უყვარს ხუმრობა, თუმცა, ამასთან, ის ყოველთვის რჩება პროფესიონალად. ზლატანი ინდივიდუალურად უძლიერესი ფეხბურთელია, მაგრამ მუდმივად მუშაობს გუნდზე. ამით ის კრიშტიანო რონალდუს ჰგავს.

***— რთულია კრიშტიანო რონალდუსთან მუშაობა?***

— პირიქით, ძალიან ადვილია, რადგან პროფესიონალია და ყოველთვის იცის, რა უნდა აკეთოს ვარჯიშზე. თამაშზე კი რონალდუს შეგიძლია არაფერი უთხრა და ის თავისით მიხვდება ყველაფერს. ძალიან გამიმართლა, რომ ასეთ დიდ ფეხბურთელს ვწვრთნიდი. ვფიქრობ, რონალდუსა და მესის ძალიან დაეხმარა ერთმანეთთან კონკურენცია.

***— როდესაც რეალში დაინიშნეთ, თქვენი პრიორიტეტული მიზანი ჩემპიონთა თასის მეათედ მოგება იყო?***

— მადრიდში ყველა ამაზე ოცნებობდა. რეალს დიდი ხანი არ ჰქონდა მოგებული ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირი და ბუნებრივია, რომ პრიორიტეტულ მიზნად იყო ქცეული. საბედნიეროდ, ჩვენ ეს შევძელით და ლიგა მეათედ მოვიგეთ.

***— შემდეგი სეზონი რეალში ნაკლებად წარმატებული გამოვიდა. ხომ არ გამოიწვია ჩავარდნა ჩაბი ალონსოსა და ანხელ დი მარიას გასხვისებამ?***

— უნდა ვაღიარო, რომ ჩაბი ალონსო და ანხელ დი მარია ძალიან დაგვაკლდნენ და მათ გარეშე გაგვიჭირდა ტიტულის შენარჩუნება. სეზონის სტარტი ბრწყინვალე გვქონდა, რადგან ზედიზედ 22 მატჩი მოვიგეთ, შემდეგ კი ლუკა მოდრიჩი და სერხიო რამოსი დაგვიშავდნენ, რამაც გუნდში ბალანსი დაარღვია. მიუხედავად ყველაფრისა, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავედით და ესპანეთის პირველობაზე ჩემპიონ ბარსელონას მხოლოდ ერთი ქულით ჩამოვრჩით.

***— ფიქრობთ, რომ რეალში თქვენთვის მეტი დრო უნდა მოეცათ?***

— როდესაც კონტრაქტს ვაფორმებდი, მაშინვე მითხრეს, რომ ტიტულის გარეშე დარჩენა ჩემი გათავისუფლების ტოლფასი იქნებოდა. რეალი მსოფლიოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბია და ნებისმიერი მწვრთნელი ისურვებდა იქ მუშაობას. ამიტომ, არაფერს ვნანობ და მადრიდში გატარებულ დროს სიამოვნებით ვიხსენებ.

***— ვისთან უფრო კომფორტული იყო მუშაობა, სილვიო ბერლუსკონისთან მილანში, ფლორენტინო პერესთან რეალში თუ რომან აბრამოვიჩთან ჩელსიში?***

— თითოეულმა მათგანმა ჩემი გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათზე ნაწყენი ვარ. სილვიო ბერლუსკონისთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს და ამიტომ, მასთან ურთიერთობა ჩემთვის ყველაზე კომფორტული იყო. მე ძველი მილანელი ვარ და ჩვენ ბევრი რამ გვაერთიანებს. ფლორენტინო პერესთან და რომან აბრამოვიჩთან კარგი ურთიერთობა მქონდა, თუმცა, რაც ეს კლუბები დავტოვე, მათთან შეხება არ მქონია.

***— ალექს ფერგიუსონმა დანანებით აღნიშნა, რომ მისი წასვლის შემდეგ, მანჩესტერ იუნაიტედი თქვენ არ ჩაიბარეთ.***

— ფერგიუსონი პირადად მესაუბრა და მანჩესტერში ჩასვლა შემომთავაზა, მაგრამ იმ დროს ჩემი რეალში დანიშვნა გადაწყვეტილი იყო. სერ ალექსს, რომ ცოტა უფრო ადრე დაერეკა, მანჩესტერულ ვარიანტზე კარგად დავფიქრდებოდი.

***— იყვნენ ისეთი ფეხბურთელები, რომელთა გადაბირება გსურდათ და არ გამოვიდა?***

— რა თქმა უნდა. მილანში ძალიან მინდოდა სტივენ ჯერარდის გადაყვანა, მაგრამ მას ლივერპულის დატოვება არ სურდა. ასევე, მინდოდა ფრანჩესკო ტოტისთან მუშაობა, მაგრამ ეს არარეალური იყო, რადგან ის რომს არასდროს დატოვებდა, მე კი „ჯალოროსიში“ არ მიმუშავია. თუმცა, ყველაზე მეტად იმაზე მწყდება გული, რომ პარმაში მუშაობისას, რობერტო ბაჯო ვერ გადავიყვანე. მას სურდა ჩვენთან თამაში, მაგრამ არა იმ პოზიციაზე, რომელსაც მე ვთავაზობდი. ამიტომ, ჩვენი მოლაპარაკება ჩიხში შევიდა. დღეს რომ იგივე სიტუაციაში ვიყო, ბაჯოს აუცილებლად გადმოვიყვანდი და მოედანზე სრულ თავისუფლებას მივცემდი.

***— რით ახსნით ლესტერის ტრიუმფალურ სეზონს პრემიერლიგაში?***

— კლაუდიო რანიერის ნამუშევარი აქვს იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში და ინგლისში. მისმა გამოცდილებამ ლესტერი ისტორიულ გამარჯვებამდე მიიყვანა. რანიერის გუნდი ერთიანი იყო. ამასთან ჰყავდა არაერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი — კანტე, მარეზი, ვარდი... ისიც ვთქვათ, რომ ლესტერის ფეხბურთელები ტრავმებს ასცდნენ, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია.

***— როგორ ფიქრობთ, წარმატებით იმუშავებს ჩელსიში ანტონიო კონტე?***

— კონტე ნამდვილი მებრძოლი და, რაც მთავარია, პროფესიონალია. იტალიის შემდეგ ინგლისი ნამდვილ სამოთხედ მოეჩვენება. ინგლისური და იტალიური ფეხბურთი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. მთავარია, ადაპტაცია მალე გაიაროს. ჩელსის იტალიელ მწვრთნელებში ყოველთვის უმართლებდა და, იმედია, ამჯერადაც ასე იქნება.

***— რომელი ჩემპიონატის მოგებაა უფრო რთული, სადაც თქვენ გიმუშავიათ?***

— ევროასპარეზზე ესპანური გუნდები დომინირებენ და აქედანაც ჩანს, რომ იქ საერთო დონე ყველაზე მაღალია. იტალიაში მწვრთნელი მუდმივად კონცენტრირებული უნდა იყოს, რადგან შესაძლოა თამაშში რამდენჯერმე მოგიწიოს ტაქტიკური სქემის შეცვლა. საფრანგეთში მარტო ერთი გუნდია და ეს პსჟ-ია.

***— რატომ ჩაიბარეთ ბაიერნი და რა შეიძლება გააუმჯობესოთ გუნდში, რომელმაც 4-ჯერ ზედიზედ მოიგო ბუნდესლიგა?***

— კარგი დამთხვევა იყო, რადგან კლუბს სჭირდებოდა მწვრთნელი, მე კი მჭირდებოდა სამუშაო. ჩემპიონთა ლიგის ბოლო ხუთ გათამაშებაში, ბაიერნი ხუთჯერ გავიდა ნახევარფინალში, თუმცა თასი მხოლოდ ერთხელ მოიგო. მიზანი ნათელია — უნდა გავხდეთ ევროპის საუკეთესო გუნდი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ორშაბათი 18 ივლისი

